

# ს/ს პროკრედიტ ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები,  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
31 დეკემბერი, 2011 წ.

# შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებული უწყისი	1
მთლიანი მოგების კონსოლიდირებული უწყისი	2
სააქციო კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი	3
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი	4

## შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის

1. შესავალი	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება	6
4. დაშვებები და პროგნოზები	20
5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში	21
6. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები	26
7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	27
8. გასაყიდად სელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	28
9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	30
10. არამატერიალური აქტივები	36
11. ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	37
12. სხვა აქტივები	38
13. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	49
14. კლიენტთა ანგარიშები	40
15. სხვა ნასესხი სახსრები	41
16. სხვა ვალდებულებები	43
17. სხვა რეზერვები	43
18. მოგების გადასახადი	44
19. სუბორდინირებული სესხი	45
20. სააქციო კაპიტალი და აქციების პრემია	46
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	47
22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები	48
23. უცხოური ვალუტით ვაჭრობისა და კონვერტაციიდან მიღებული შემოსავალი დანაკარგების გამოკლებით	48
24. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები	49
25. სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	49
26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა	50
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	78
28. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მისადაგება შეფასების კატეგორიებთან	80
29. პირობითი ვალდებულებები	81
30. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	83
31. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მოვლენები	85

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ს.ს პროკრედიტ ბანკის აქციონერებსა და მენეჯმენტს

1. ჩვენ აუდიტი ჩავუტარეთ ს.ს პროკრედიტ ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში "ჯგუფი") თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ უწყისს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ მთლიანი მოგების კონსოლიდირებულ უწყისს, სააქციო კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ უწყისსა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ უწყისს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების რეზიუმეს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს უნებლიე, ან განზრახ არსებით უზუსტობას; აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და არსებული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

4. აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებებისას აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც შეეხება საწარმოს მიერ ფინანსური უწყისების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარმოდგენას, არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საბუღალტრო შეფასებების ადეკვატურობის შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შეფასებას მთლიანობაში.

5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

6. ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

23 მარტი, 2012 წ.

თბილისი, საქართველო

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებული უწყისი

'000 ლარი

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2011 წ	31 დეკემბერი 2010 წ
<b>აქტივები</b>			
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	6	185 102	133 263
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	34 565	78 358
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები		56	-
გასაყიდად სელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	199	6 427
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	667 529	578 319
არამატერიალური აქტივები	10	4 309	2 361
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	11	67 095	56 557
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		1 723	-
სხვა აქტივები	12	11 268	8 274
<b>სულ აქტივები</b>		<b>971 846</b>	<b>863 559</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	13	13 361	6
კლიენტთა ანგარიშები	14	513 420	480 492
სხვა ნასესხები სახსრები	15	242 163	183 797
სხვა ვალდებულებები	16	1 269	893
სხვა რეზერვები	17	856	1 191
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	2 631
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	18	1 476	1 042
სუბორდინირებული სესხი	19	67 673	71 585
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>840 218</b>	<b>741 637</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	20	74 000	68 500
აქციების პრემია	20	23 172	18 640
გაუნაწილებელი მოგება		34 456	34 782
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>131 628</b>	<b>121 922</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>971 846</b>	<b>863 559</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2012 წლის 23 მარტს

საშა ტერნესი  
დირექტორი

ირინა კილასონია  
მთავარი ბუღალტერი

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

მთლიანი მოგების კონსოლიდირებული უწყისი

'000 ლარი			
	შენიშვნები	2011	2010
საპროცენტო შემოსავალი	21	111 993	121 829
საპროცენტო ხარჯი	21	(41 231)	(47 887)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>70 762</b>	<b>73 942</b>
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	(579)	(3 253)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხებზე შესაძლო დანაკარგების დარეზერვების შემდეგ</b>		<b>70 183</b>	<b>70 689</b>
საკომისიო შემოსავალი	22	9 382	7 812
საკომისიო ხარჯი	22	(3 756)	(3 090)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ზარალი	23	5 557	7 315
უცხოურ ვალუტის კონვერტაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი/(ზარალს გამოკლებული მოგება)	23	66	(1 009)
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან მიღებული შემოსავალი		31	43
სხვა საოპერაციო შემოსავალი	24	1 340	851
სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(1 027)	(587)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	25	(32 169)	(32 535)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	25	(26 786)	(25 041)
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>22 821</b>	<b>24 448</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	18	(3 147)	(3 579)
<b>წლის მოგება</b>		<b>19 674</b>	<b>20 869</b>
<b>მთლიანი მოგება წლისთვის</b>		<b>19 674</b>	<b>20 869</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2012 წლის 23 მარტს

საშა ტერნესი  
დირექტორი

ირინა კილასონია  
მთავარი ბუღალტერი

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

სააქციო კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი

'000 ლარი

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	აქციების პრემია	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>ბალანსი 1 იანვარს, 2010 წ.</b>		<b>58 850</b>	<b>11 593</b>	<b>30 413</b>	<b>100 856</b>
წლის მთლიანი მოგება		-	-	20 869	20 869
2009 წლის მოგებიდან განაწილებული დივიდენდები	20	-	-	(16 500)	(16 500)
კაპიტალის ზრდა	20	9 650	7 047	-	16 697
<b>ბალანსი 31 დეკემბერს, 2010 წ.</b>		<b>68 500</b>	<b>18 640</b>	<b>34 782</b>	<b>121 922</b>
წლის მთლიანი მოგება		-	-	19 674	19 674
2010 წლის მოგებიდან განაწილებული დივიდენდები	20	-	-	(20 000)	(20 000)
კაპიტალის ზრდა	20	5 500	4 532	-	10 032
<b>ბალანსი 31 დეკემბერს, 2011 წ.</b>		<b>74 000</b>	<b>23 172</b>	<b>34 456</b>	<b>131 628</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2012 წლის 23 მარტს

საშა ტერნესი  
დირექტორი

ირინა კილასონია  
მთავარი ბუღალტერი

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი

'000 ლარი	შენიშვნები	2011	2010
<b>მოგება გადასახადის გამოქვითვამდე</b>		<b>22 821</b>	<b>24 448</b>
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები	9	579	3 253
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან მიღებული (მოგება)/დანაკარგები		(31)	43
ცვთა და ამორტიზაცია	25	5 471	5 436
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ვალუტის გადაფასების შედეგად		(66)	1 009
სხვა რეზერვების (გამოთავისუფლება)/დამატება		(335)	1 082
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გასხვებისგან მიღებული დანაკარგები/(მოგება)		217	(267)
მიღებული პროცენტები		113 696	120 848
გადახდილი პროცენტები		(42 552)	(47 360)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(7 067)	(1815)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>		<b>92 733</b>	<b>106 675</b>
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების გაზრდა/შემცირება არაფულადი მუხლების შემდეგ მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ		(31 887)	(13 592)
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები		(25)	(43)
კლიენტებზე გაცემული სესხი და ავანსები		(91 492)	(63 314)
სხვა აქტივები		(2 977)	(534)
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		13 336	(486)
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები		-	(905)
კლიენტთა ანგარიშები		33 811	94 706
სხვა ფინანსური ვალდებულებები		234	(336)
პროცენტი და დივიდენდები		(70 762)	(74 240)
<b>საოპერაციო საქმიანობის შედეგად შემოსული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(57 029)</b>	<b>47 931</b>
ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის შეძენა		(18 188)	(17 218)
ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის გაყიდვით მიღებული შემოსავლები		15	831
გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების (გაყიდვა) შესყიდვა		6 369	(1 772)
<b>საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული ფულადი სახსრები</b>		<b>(11 804)</b>	<b>(18 159)</b>
გადახდილი დივიდენდები	20	(20 000)	(16 500)
გამომშვებული აქციები	20	10 032	16 697
სხვა ნასესხები ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავალი		141 248	59 882
სხვა ნასესხები ფულადი სახსრების დაფარვა		(82 591)	(30 735)
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		(3 745)	(5 191)
<b>ფინანსური საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები</b>		<b>44 944</b>	<b>24 153</b>
ნაღდი ფულის და ნაღდი ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება/ზრდა	6	(23 889)	53 925
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		183 128	130 212
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგები		66	(1 009)
<b>ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის</b>		<b>159,305</b>	<b>183,128</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2012 წლის 23 მარტს

საშა ტერნესი  
დირექტორი

ირინა კილასონია  
მთავარი ბუღალტერი

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 1. შესავალი

ს/ს პროკრედიტ ბანკი წარმოადგენს დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში და რომლის ძირითადი სამოქმედო ქვეყანაც საქართველოა. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის უშუალო და ერთადერთი დედობილი კომპანია ს/ს პროკრედიტ ჰოლდინგი იყო (შემდგომში "პროკრედიტ ჰოლდინგი").

საზედამხედველო მიზნებისთვის პროკრედიტ ბანკი საქმიანობას აწარმოებს ზოგადი საბანკო ლიცენზიით 233 და მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("NBG").

ბანკის იურიდიული მისამართია: დაღმამენებლის გამზ. 154, 0112, თბილისი, საქართველო. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. ბანკს ასევე გააჩნია 61 ფილიალი და კვანძგარეთა განყოფილება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში, ზუგდიდში, ქობულეთში, თელავში, რუსთავში, სადახლოში, მარნეულში, ხაშურში, ზესტაფონში, ოზურგეთში, ბორჯომში, წნორში, სამტრედიასა და ახალციხეში.

2009 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი ერთპიროვნულად ფლობდა შვილობილ კომპანიას - შპს „პროკრედიტ ფროფერტის“, რომელიც 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობაც უძრავ-მოდრავი ქონების ფლობა და განკარგვაა. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ბანკი და მისი შვილობილი კომპანია ერთობლივად მოიხსენიება როგორც "ჯგუფი".

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

## 2. საოპერაციო გარემო

ჯგუფი ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველო ჯერ კიდევ განვითარებად სტადიაზე მყოფი ქვეყანაა. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყანაში მოქმედი კომპანიებისათვის. ამასთან ერთად, ჯგუფის მიერ სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე შექმნილი სავალ კრიზისი და საფონდო ბირჟების მკვეთრი ცვალებადობა.

ბანკის მენეჯმენტისათვის სირთულეს წარმოადგენს ყველა იმ ტენდენციის წინასწარი განსჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საბანკო სექტორზე და მთლიანად ეკონომიკაზე, მათ შორის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზეც.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო პოლიტიკაზე, ასევე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა საჭირო ზომას იღებს, რათა უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის მდგრადი განვითარება.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება

#### მომზადების საფუძველი

ს/ს პროკრედიტ ბანკი თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებს ამზადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტისა (IASB) და მისი წინამორბედი ორგანოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ამას გარდა, გამოიყენება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების (IFRS) ინტერპრეტაციების კომიტეტისა და მისი წინამორბედი ორგანოს მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციები.

ყველა თანხა, თუ საგანგებოდ არაა სხვა რამ მითითებული, მოცემულია ლარში და დამრგვალებულია ათასებში (“GEL”).

არ მომხდარა ისეთი სტანდარტის ნაადრევი მიღება, რომელიც ჯერ ძალაში არაა შესული.

#### აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS) სამართლიანი ღირებულებით შეფასება ნებადართულია. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ღირებულებად, რომელზეც გაფორმდებოდა გარიგება ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საქმიან მხარეს შორის, რომლებიც არიან სათანადოდ ინფორმირებულნი და გააჩნიათ გარიგებაში შესვლის სურვილი.

IFRS განსაზღვრავს ეგრეთწოდებულ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის იერარქიას, რომელიც ასახავს სამართლიანი ღირებულების მიღების სხვადასხვა მეთოდის შედარებით სიზუსტეს:

*(ა) აქტიური ბაზარი: კოტირებული ფასი (დონე 1)*

აქტიურ ბაზრებზე იდენტური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება.

*(ბ) შეფასების მეთოდი დაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 2)*

აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დადგენილ ფასებზე დაკვირვება, ან არააქტიურ ბაზრებზე იდენტური, ან მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება, ან ისეთი შეფასების მოდელების გამოყენება, სადაც ყველა მნიშვნელოვან რესურსზე შეიძლება დაკვირვება.

*(გ) შეფასების მეთოდი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 3)*

შეფასების ისეთი მოდელების გამოყენება, სადაც ერთი, ან ერთზე მეტი მნიშვნელოვანი რესურსი არ არის დაკვირვებადი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის საუკეთესო მეთოდი ხელმისაწვდომი არაა, შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის რიგით მეორე საუკეთესო მეთოდის გამოყენება. თუ შესაძლებელია, ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს მოიპოვებს კოტირებული საბაზრო ფასებიდან; სხვა შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი საუკეთესო შეფასების მეთოდი, რომელიც ხელმისაწვდომია.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

უწყვეტი ბუღალტრული აღრიცხვისთვის სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებულ ყველა ინსტრუმენტს და გასაყიდად ხელმისაწვდომ კატეგორიაში გასულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. წლის ბოლოსათვის არსებული მუხლების შეფასებისას გამოყენებული მეთოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ანგარიშგება და შეფასება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე ხდება.

#### **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

შვილობილი კომპანიები არიან ის კომპანიები, ან სხვა ერთეულები (მათ შორის საგანგებო მიზნით შექმნილი ერთეულები), რომლებშიც ჯგუფი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტით, ან სხვაგვარად აქვს უფლება, რომ მართოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა იმგვარად, რომ მიიღოს სარგებელი. იმის შეფასებისას, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი სხვა ერთეულს, ხდება ამჟამად გამოყენებადი და კონვერტირებადი პოტენციური ხმის უფლებების არსებობისა და შედეგის გათვალისწინება. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, რა დღესაც ჯგუფმა მოიპოვა მათზე კონტროლი (შემდენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი შეწყდა.

ფინანსურ ანგარიშგებში არ არის შესული კომპანიებს შორის ტრანზაქციები, ბალანსები და ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგება; არაა შესული არარეალიზებული დანაკარგებიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხარჯების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთნაირ სააღრიცხვო სტანდარტებს, რაც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას და პროცედურებს.

#### **ფინანსური აქტივები**

ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები, სესხები და დებიტორული დავალიანება, და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები. “გადახდამდე დაკავებულ” კატეგორიაში აქტივები არ არსებობს. მენეჯმენტი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი შეფასების საფუძველზე.

#### *მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები*

ამ კატეგორიას გააჩნია ორი ქვეკატეგორია: ვაჭრობისათვის დაკავებული ფინანსური აქტივები (“აქტივები სავაჭრო ანგარიშზე”), ე. ი. დაკავებული დერივატივები, და დასაწყისშივე მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით აღიარება ხდება მოგების ან ზარალის საფუძველზე, როცა ისინი ცალკე პორტფელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე დოკუმენტური რისკების მართვის, ან საინვესტიციო სტრატეგიის თანახმად. ხელმძღვანელობისათვის ამ პორტფელზე და მასში შესულ აქტივებზე ყოველთვიური ანგარიშგება ასევე სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ხდება. ანგარიშგებაში მოცემული სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ დაკვირვებადი საბაზრო ფასებია;

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

ჯგუფი ამჯობინებს ისეთ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რომელთათვისაც საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე დაკვირვებადია. სამართლიანი ღირებულება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოითვლება მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე შეფასების ტექნიკის გამოყენებით.

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გარიგების ხარჯები დანახარჯის სახით აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ამის შესაბამისად, ისინიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებიდან მიღებული შემოსავლის და ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში. მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელთან ერთად ისინი აისახება, როგორც “მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან მიღებული წმინდა შედეგი”.

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის აღიარება ხდება გარიგების დღეს – იმ დღეს, როცა ჯგუფი აქტივს იყიდის ან გაყიდის. მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება უქმდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა ეწურება, ან როდესაც ჯგუფი გაასხვისებს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

#### *სესხები და დებიტორული დავალიანება*

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოიშობა მაშინ, როცა ჯგუფი უშუალოდ დებიტორზე გასცემს ფულს, საქონელს ან მომსახურებას ისე, რომ მიზნად არ ისახავს დებიტორული დავალიანებით ვაჭრობას.

სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიან ღირებულებად (დამატებული ტრანზაქციის ხარჯები); შემდეგ ისინი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ყოველი საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით და როდესაც პოტენციური გაუფასურების ნიშნები ჩანს, ჯგუფი აფასებს თავისი სესხებისა და დებიტორული დავალიანებების ღირებულებას. მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება შემცირდეს სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გამო (გაუარესებულ სესხებზე დატალური ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა #9). თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობა შემცირდა, შესაბამისად შემცირდება გაუფასურებისთვის გამოყოფილი რეზერვი და შემცირებული ოდენობა ჩაითვლება მოგებას ან ზარალში. გაუფასურების შემცირების მაქსიმალური ოდენობა უდრის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც იარსებებდა შეფასების დღისთვის, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

სესხების აღიარება ხდება მაშინ, როცა მსესხებლებზე ხდება ძირითადი თანხის (კაპიტალის) წინასწარი გაცემა. სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება წყდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა ამოეწურა, ან როცა ჯგუფი გაასხვისებს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

#### *გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები*

გასაყიდად ხელმისაწვდომი ის აქტივებია, რომელთა დაკავება (ფლობა) განუსაზღვრელი დროითაა გამიზნული და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროებიდან, ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსებსა თუ აქციების ფასებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე.

თავდაპირველი აღიარებისას, გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ბუღალტრულად აღირიცხება სამართლიან ფასად, რომელსაც ემატება ტრანზაქციის ხარჯები. ამის შესაბამისად, ისინიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ანგარიშგებაში მოცემული სამართლიანი ღირებულება წარმოდგენს ან დაკვირვებად საბაზრო ფასებს, ან იმ ღირებულებას, რომელიც გამოთვლილია ამჟამინდელ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობილი შეფასების ტექნიკით. გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი პირდაპირ ფასდება სხვა მთლიან შემოსავლად უწყისის მუხლში “გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივის გადაფასების რეზერვი”, ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე, ან მის გაუფასურებამდე. ამ დროისათვის კუმულაციური მოგება ან ზარალი, რომელიც წინათ შეტანილი იყო სხვა მთლიან შემოსავალში, ამჯერად ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში, როგორც “გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივიდან მოგება, ან ზარალი”. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი და გაცვლითი სავალუტო კურსის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი იმ მონეტარულ აქტივებზე, რომლებიც გადის გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში, ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში. გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია მოგება –ზარალის უწყისის სხვა საოპერაციო შემოსავლების ნაწილში, როდესაც დადგენილია კომპანიის უფლება, რომ მიიღოს გადახდა.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღირიცხება ტრანზაქციის (გარიგების) დღეს. ჯგუფი გააუქმებს გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების აღიარებას მაშინ, როცა (ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს ვადა ამოეწურება, ან (ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დადებული აქვს მიღებული ფულადი ნაკადების გადაცემის თაობაზე შეთანხმება, ამავდროულად (ი) ჯგუფს ასევე გასხვისებული აქვს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც დაუტოვებია მესაკუთრეობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ არ აქვს დატოვებული მართვის უფლება.

#### **მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები**

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები შედგება მხოლოდ ჰეჯირებისთვის გამოყენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე უარყოფითი სამართლიანი ღირებულებებისგან, მაგრამ არა როგორც ჰეჯირების ზომები საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი #39-ის თანახმად ჰეჯირების აღრიცხვის პირობებით მიხედვით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

#### უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

ა) ჯგუფის საქმიანობისა (საოპერაციო) და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული ერთეულის ფინანსურ ანგარიშებში შესული მუხლები მოცემულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც ეს ერთეული საქმიანობს (“საქმიანობის ვალუტა”). ჯგუფის ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ქართულ ლარში (“GEL”), რომელიც ბანკის საქმიანობისა და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტაა.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსები

სავალუტო ტრანზაქციების გადაყვანა საქმიანობის ვალუტაში ხდება ტრანზაქციების დღეს მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისა და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლითი კურსის მიხედვით გადაყვანის შედეგად, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში (ვაჭრობის შედეგი).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული მუხლები გადაიყვანება ანგარიშგების თარიღის დახურვისას არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არამონეტარული მუხლები, მათ შორის ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში, გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არამონეტარულ მუხლებში სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად მიღებული განსხვავება ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ისტორიული ხარჯით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება თავდაპირველი აღიარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

#### გაცვლითი კურსები

ფინანსური პოზიციის უწყისის მუხლებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი ოფიციალური სავალუტო კურსები:

	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6703	1.7728
ლარი/1 ევრო	2.1614	2.3500

#### ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები

ფინანსური პოზიციის უწყისის მიზნებისათვის ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის ნაშთებს ცენტრალურ ბანკებში, როცა მათი დისკონტირება შეიძლება, სხვა მოკლევადიან ინვესტიციებს, რომლებიც ლიკვიდური და სწრაფად კონვერტირებადია გარკვეულ ფულად თანხად ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკით, და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)**

ზოგადად, ყველა ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტის ერთეული ნომინალური ღირებულებით აისახება. სახაზინო ვალდებულებები და ფულადი ბაზრის სხვა ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ნაღდი ფულის ეკვივალენტად ითვლება, გადის გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების კატეგორიაში და ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგების მიზნებით, ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს შემენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის ნაშთებს, მათ შორის: ნაღდ ფულს და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს, უგირავნო სახაზინო ვალდებულებებსა და სხვა ბანკებისაგან მისაღებ თანხებს.

საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები ნაღდი ფულის და მისი ეკვივალენტების ნაწილში აისახება. სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს უპროცენტო (საპროცენტო სარგებლის არმომტან) სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

#### **სესხები და დებიტორული დავალიანება**

კლიენტებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება ძირითადად გულისხმობს გაცემულ სესხებსა და ავანსებს.

ძალიან მოკლევადიანი (ერთდღიანი) და ვადიანი ანაზრების გარდა, ბანკებისგან მისაღები დებიტორული დავალიანების ჯგუფში გაწერილი თანხები მოიცავს მიმდინარე ანგარიშების ნაშთებსაც.

ბანკებისგან მისაღები ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება, ასევე კლიენტებისგან მისაღები სესხები და დებიტორული დავალიანებები გაერთიანებულია კატეგორიაში “სესხები და დებიტორული დავალიანება” და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული პრემიები და დისკონტები შეიტანება შესაბამისი პერიოდების მოგებაში, ან ზარალში, როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილი. სესხების გაუფასურების აღიარება ხდება ცალკე სარეზერვო ანგარიშებზე (იხ. შენიშვნა 9).

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგების მიზნით, ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია, აღიარებულია ნაღდ ფულად, ან ნაღდი ფულის ეკვივალენტად.

#### **სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები და ავანსები და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გაუფასურება**

##### **სესხებისა და ავანსების გაუფასურება**

ჯგუფი ფინანსური პოზიციის უწყისის ყოველი თარიღით ამოწმებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი, ან სასესხო პორტფელი გაუფასურდა, რაც გავლენას მოახდენს ამ ფინანსური აქტივ(ებ)ზე სამომავლო ფულად ნაკადებზე, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შესაბამისი ზარალის აღიარება. სესხის ზომიდან გამომდინარე, ასეთი ზარალი ან ინვიდივიდუალურად გამოითვლება თითოეულ სესხზე, ან ერთობლივად შეფასდება სესხების პორტფელზე. სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში. ჯგუფი არ აღიარებს ზარალს მომავალში მოსალოდნელი მოვლენებიდან.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

- ინდივიდუალურად შეფასებული სესხები და ავანსები

მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება. ასეთი კრედიტების შემთხვევაში ფასდება, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი. ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კლიენტის მიერ ჯგუფისადმი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებაზე:

ამასთან ერთად, კლიენტზე გაცემული საერთო კრედიტისა და დაკავებული უზრუნველყოფის რეალიზებადი ღირებულების გათვალისწინება ხდება გაუფასურების (შესაძლო დანაკარგების) რეზერვის შექმნისას.

თუკი არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხის გაუფასურება მოხდა, ზარალის ოდენობა გაიზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (სპეციფიური გაუფასურება). თუ კრედიტს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის შესაფასებლად არის ხელშეკრულებით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა ასახავს უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს გამოკლებული უზრუნველყოფის ამოღებისა და გაყიდვის ხარჯები.

- ერთობლივად შეფასებული სესხები და ავანსები

სესხების გაუფასურება ერთობლივად ფასდება ორ შემთხვევაში:

- ცალკე აღებული (ინდივიდუალური) უმნიშვნელო სესხები, რომლებიც გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ავლენენ,
- ცალკე აღებული (ინდივიდუალური) მნიშვნელოვანი სესხების ჯგუფი, რომელიც არ ავლენს გაუფასურების ნიშნებს, რათა დაიფაროს ყველა დანაკარგი, რაც უკვე გასწია ბანკმა, მაგრამ რომელიც არ იყო აღმოჩენილი სესხების ინდივიდუალურად განხილვისას.

ინდივიდუალური უმნიშვნელო სესხების გაუფასურების შეფასების მიზნით სესხები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე, ანუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება გაუფასურების ნიშნად ითვლება. ეს მახასიათებელი მნიშვნელოვანია ასეთი აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, მსგავსი მახასიათებლების მქონე სესხებზე ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

ცალკე განსახილველად უმნიშვნელო კრედიტების (მთლიანი თანხის გაუფასურება) და ფინანსური აქტივების ჯგუფში გასული არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი კრედიტების (პორტფელის გაუფასურება) გაუფასურების ერთობლივი შეფასება ეყრდნობა რისკების მსგავსი მახასიათებლების და დაახლოებით მსგავსი რისკის პროფილის მქონე სასესხო პორტფელების დეფოლტის ისტორიული მაჩვენებლის რაოდენობრივ ანალიზს.

იმ ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადები, რომელთა გაუფასურებაც ჯამურად ფასდება, გამოითვლება ამ ჯგუფში შემავალ აქტივებზე საკონტრაქტო ფულადი ნაკადებისა და ამ ჯგუფში შემავალი აქტივების ანალოგიური საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე აქტივებზე ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული ზარალის გამოცდილება კორექტირდება არსებული დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს იმ პერიოდისთვის არსებული პირობების გავლენა, რომელსაც ეყრდნობა ისტორიული ზარალის გამოცდილება და რათა არ მოხდეს ისტორიულ პერიოდში დღეისათვის არარსებული პირობების შედეგების გათვალისწინება. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და დაშვებები რეგულარულად გადაისინჯება ჯგუფის მიერ, რათა შეამციროს ნებისმიერი სხვაობა პროგნოზირებულ და რეალურ ზარალს შორის.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ გაუფასურების ობიექტური ნიშნები არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, განურჩევლად იმისა, ეს აქტივი მნიშვნელოვანია თუ არა, იგი აქტივს შეიყვანს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას (გაუფასურება ერთობლივად შეფასებული სესხების შემთხვევაში).

#### გაუფასურების აღდგენა

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება რეზერვის ანგარიშის დაკორექტირებით. აღდგენილი თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში.

#### სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

როცა სესხი ჩამოიწერება შიდა პოლიტიკის მიხედვით, ის ჩამოიწერება სესხზე შესაძლო დანაკარგებისთვის გამოყოფილი შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. ასეთი სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც შესრულდება ყველა აუცილებელი პროცედურა და განისაზღვრება დანაკარგის ოდენობა. უკვე ჩამოწერილი თანხების შედგომი ამოღება ამცირებს სესხზე შესაძლო დანაკარგისთვის გამოყოფილი რეზერვის ოდენობას მოგებაში, ან ზარალში.

#### რესტრუქტურირებული სესხები

რესტრუქტურირებული სესხები, რომლებიც გაუფასურების ნიშნებს ავლენენ, ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება და მათი გაუფასურება ცალ-ცალკე ფასდება. დანაკარგის ოდენობა ფასდება, როგორც განსხვავება რესტრუქტურირებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლო პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (სპეციფიური გაუფასურება). ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული რესტრუქტურირებული სესხების გაუფასურება ჯამურად ფასდება.



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

#### *ამოღებული უზრუნველყოფა*

ამოღებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფის მიერ ვადაგადაცელებული სესხების ამოსადებად მოპოვებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივს. ეს აქტივები თავდაპირველად შექმნისას აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შედის “სხვა აქტივების” მუხლში, როგორც შენობები და აღჭურვილობა, სხვა ფინანსური აქტივები ან ინვენტარი იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის აქტივია და რა მიზნით ამოიღო ის ჯგუფმა. ხოლო შემდეგ ხელახლა შეფასდება და ბუღალტრულად გატარდება მოცემული კატეგორიის აქტივებისათვის გათვალისწინებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

#### *გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში გასული აქტივების გაუფასურება*

ჯგუფი ყოველი საბალანსო უწყისის თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. იმის გასარკვევად, არის თუ არა გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი გაუფასურებული, გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- მსესხებლის გადახდისუნარიანობის გაუარესება, ან მისი მხრიდან უარი, რომ შეასრულოს ვალდებულება
- პოლიტიკური ვითარება, რომელმაც შეიძლება მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედოს
- სხვა მოვლენები, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოდ ხდის საბალანსო ღირებულების ამოღებას/აღდგენას

საკუთარ კაპიტალში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიას მიეკუთვნება, აქტივების გაუფასურების დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაიკლო თუ არა ფასიანი ქაღალდის სამართლიანმა ღირებულებამ მნიშვნელოვნად ან ხანგრძლივად და შეადგინა თუ არა მის ხარჯზე ნაკლები ოდენობა. თუ რომელიმე ეს ნიშანი არსებობს, ჯამური დანაკარგი – რომელიც განისაზღვრება, როგორც განსხვავება შესყიდვის ფასსა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ყოველგვარი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი ფინანსურ აქტივზე, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო მოგებაში, ან ზარალში - ჩამოიწერება მთლიანი მოგებიდან და აისახება მოგებაში, ან ზარალში.

მოგებაში, ან ზარალში აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი წილობრივ ინსტრუმენტზე მომავალში აღარ აღდგება მოგების ან ზარალის საფუძველზე. თუ მომდევნო პერიოდში გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში შეტანილი სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზარდება და ეს ზრდა ობიექტურად იქნება დაკავშირებული მოგებაში, ან ზარალში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აღდგება მოგებაში, ან ზარალში.

ჯგუფი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული, ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ ინვესტიციების გაუფასურების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, ან უარს ამბობს ამ ვალდებულებების შესრულებაზე.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

შემნილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება ამ კონკრეტული პროგრამის შეძენის და მოქმედებაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. ამ ხარჯების ამორტიზაცია ხორციელდება თანაბარზომიერად მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. პროგრამის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა ხუთი წელია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ლიცენზიებს გააჩნიათ პროგრამული გარანტია, ექსპლუატაციის ვადა რვა წელს შეადგენს.

#### ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა

მიწა და შენობა-ნაგებობები ძირითადად გულისხმობს ოფისებს. ყველა ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა მოცემულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ აქტივის შეძენას. აქტივის შემადგენელი ნაწილების ცალკე აღიარება ხდება მაშინ, თუ მათ სხვადასხვაგვარი გამოსადეგობის პერიოდი აქვთ და სხვადასხვა ფორმით მოაქვთ სარგებელი საწარმოსთვის.

შემდგომი ხარჯები ან შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების შეფასება საიმედოდ ზუსტია. ყველა სხვა შეკეთების/გამართვის და მოვლის ხარჯები აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში, ან ზარალში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

მიწა ცვეთას არ ექვემდებარება. სხვა აქტივების ცვეთა გამოითვლება ცვეთის თანაბრად დარიცხვის მეთოდით, რითაც მათი ღირებულება ნაწილდება შემდეგი წლიური განაკვეთით, ნარჩენ ღირებულებამდე:

– შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	2%
– საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%- 25%
– სხვა	20%

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ექსპლუატაციის პერიოდი გადაისინჯება, საჭიროებისამებრ დაკორექტირდება ყოველი ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით.

ცვეთას დაქვემდებარებული აქტივების და მიწის ღირებულების გაუფასურება მოწმდება, როდესაც მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიაჩნდება იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენითი. აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ დაიყვანება აღდგენით ოდენობამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის პროგნოზირებულ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აქტივის გაყიდვის ხარჯების გამოქვითვის შემდგომ სამართლიან ღირებულებასა და ექსპლუატაციის ღირებულებას შორის უფრო მაღალი ღირებულებაა.

გასხვისების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებით შედარებით. ისინი აისახება მოგებაში, ან ზარალში.

ჯგუფი არ ფლობს საინვესტიციო საკუთრებას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

#### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ექსპლუატაციის განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივები არ ცვდება გეგმიურად, მაგრამ ყოველწლიურად მოწმდება, გაუფასურდა თუ არა.

ცვლას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად, როცა მოვლენები, ან ცვლილებები გარემოებებში მიანიშნებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენითი. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება იმ თანხაზე, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები იყოფა ისეთ უმცირეს ჯგუფებად, რომლებზეც არსებობს ბუღალტრულად ცალ-ცალკე აღრიცხვადი ნაღდი ფულის ნაკადები (ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულები).

არაფინანსური აქტივები, საქმიანი რეპუტაციის გამოკლებით, რომლებიც გაუფასურდა, განიხილება გაუფასურების შესაძლო აღდგენისთვის ყოველ ანგარიშგების დღეს.

#### იჯარა

თუ ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც არ ითვალისწინებს მეიჯარის მიერ ჯგუფისთვის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემას, მთლიანი საიჯარო გადახდები მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) თანაზომიერად აისახება იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სხვა ხელშეკრულებებში გათვალისწინებული საიჯარო შეთანხმებები მოცემულია ცალკე, თუ (ა) შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და (ბ) შეთანხმება აქტივის გამოყენებაზე უფლების გადაცემას ითვალისწინებს.

#### მოგების გადასახადი

##### *მიმდინარე მოგების გადასახადი*

მიღებულ მოგებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი გამოითვლება ქვეყნის იურისდიქციაში მოქმედი საგადასახადო კანონის მიხედვით და აისახება, როგორც იმ პერიოდის ხარჯი, რომელშიც წარმოიშვა ეს მოგება.

##### *გადავადებული მოგების გადასახადი*

გადავადებული მოგების გადასახადი მთლიანად არის მოცემული საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით განსხვავებებზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთებით (და კანონებით), რომლებიც ძალაშია საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით და რომლებიც მომავალში გამოიყენება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის რეალიზების, ან გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების შესრულებისას. დროებითი განსხვავებები ძირითადად წარმოიშობა ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის ცვეთისგან, გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების, მათ შორის, წარმოებული კონტრაქტების გადაფასებისგან, და საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდზე გადატანისგან. მიუხედავად ამისა, გადავადებული მოგების გადასახადის აღრიცხვა არ ხდება, თუ ის წარმოიშობა ტრანზაქციის აქტივის, ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, გარდა ბიზნესის გაერთიანების შემთხვევისა, რომელიც, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ტრანზაქციის დროისათვის გავლენას არ ახდენს არც საანგარიშგებო პერიოდის მოგებაზე (დაბეგვრამდელი) და არც დაბეგვრად მოგებაზე, ან ზარალზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

შემდეგ პერიოდზე გადასატანი მოგების გადასახადით დაბეგვრით გამოწვეული ზარალი ჩაითვლება გადავადებულ საგადასახადო აქტივად, როცა სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომელზეც შეიძლება ამ ზარალის გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომელზეც შეიძლება დროებითი განსხვავებების გამოყენება.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით გადაფასებასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი, რომელიც პირდაპირ სხვა მთლიან მოგებაში აისახება (დებეტირდება), ასევე ჩაითვლება სხვა მთლიანი მოგების საკრედიტო, ან სადებეტო ანგარიშზე და ამის შემდეგ ხდება მისი შეტანა მოგებაში, ან ზარალში გადავადებულ მოგებასთან, ან ზარალთან ერთად. საინფორმაციო მიზნებისთვის, ფინანსური ინფორმაცია მოცემულია რიცხვებში გადასახადის გამოკლებამდე.

ჯგუფს მუდმივად აქვს საგადასახადო განსხვავებები იმის გამო, რომ ზოგი ხარჯი დასაბეგრი მოგებიდან არ გამოიქვითება (იბეგრება), ხოლო ზოგიერთი ტიპის მოგებაზე გადასახადი არ ვრცელდება. გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნით განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი განსხვავებების წმინდა საგადასახადო შედეგს.

#### ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტებისადმი და სხვა ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებად, რომლიდანაც გამოკლებულია ტრანზაქციაზე გაწეული ხარჯები. ნასესხები თანხები შემდეგ მოცემულია ამორტიზირებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება შემოსავლებს (გამოკლებული ტრანზაქციის ხარჯები) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში სესხების ვადაზე/პერიოდზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ამოიწურება, ანუ როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა გაუვა.

#### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება, თუ

- ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება;
- დიდი ალბათობაა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად;
- თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა არის შესაძლებელი.

თუ არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, იმის ალბათობა, რომ მის შესასრულებლად საჭირო გახდება სახსრების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების მთლიანი ჯგუფის განხილვით.

რეზერვები, რომელთათვისაც სახსრების გადინების დრო ცნობილია, ფასდება დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, თუ გადინება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში არ მოხდება. ვალდებულების დღევანდელი ღირებულების ზრდა დროის გასვლის გამო აისახება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად შედგება კლიენტების მიერ გაცემული გარკვეული გარანტიებისგან და აკრედიტივებისგან, არის წარსულში მომხდარი მოვლენებისგან წარმოშობილი შესაძლო ვალდებულებები. რადგანაც მათი მოხდენა-არმოხდენა დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე მომავალში, რომლებიც ჯგუფის კონტროლს სრულად არ ექვემდებარება, მათი აღიარება ფინანსურ ანგარიშებში არ ხდება, არამედ აისახება გარე ბალანსში, თუ ამ ვალდებულებების შესრულების ალბათობა ძალიან შორეული არაა.

#### ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები არის ისეთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გარანტიის გამცემმა გარანტიის მფლობელს უნდა გადაუხადოს გარკვეული თანხა, რომ აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც მან განიცადა რომელიმე დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად დროულად გადახდის ვალდებულების ვერშესრულების გამო. ასეთი ფინანსური გარანტიები გაიცემა ბანკებზე, ფინანსურ ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებზე კლიენტების სახელით სესხების, ოვერდრაფტებისა და სხვა საბანკო პროდუქტების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური გარანტიების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, რა დღესაც გაიცა გარანტია. პირველადი აღიარების შემდეგ, გარანტიით ნაკისრი ჯგუფის ვალდებულებები ფასდება ქვემოთ მოცემული მაჩვენებლებისგან ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიხედვით: თავდაპირველი შეფასების მაჩვენებელს გამოკლებული დარიცხული ცვეთა, რათა მოგებაში, ან ზარალში მოხდეს საგარანტიო პერიოდში თანაბარზომიერად მიღებული საკომისიო შემოსავლის აღიარება და საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით წარმოშობილი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯის მაქსიმალურად ზუსტი მაჩვენებელი. ეს პროგნოზები განისაზღვრება მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, რომლებიც ეყრდნობა ანალოგიური ტრანზაქციებიდან მიღებულ გამოცდილებასა და წარსულში განცდილი დანაკარგების სტატისტიკას.

გარანტიებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ნებისმიერი ზრდა ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში “სხვა საოპერაციო ხარჯების” სახელწოდებით.

#### სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი ძირითადად მოიცავს აქციონერებისადმი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი ვალდებულებებს, რომლებიც გაკოტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ დაიფარება, როცა ჯერ ყველა არასუბორდინირებული კრედიტორი დაკმაყოფილდება. ვადამდელი გადახდის ვალდებულება არ არსებობს.

სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ სუბორდინირებული სესხის აღიარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. პრემიები და დისკონტები ჩაითვლება შესაბამისი პერიოდების მოგებაში, ან ზარალში “წმინდა საპროცენტო შემოსავლის” სახელწოდებით.

#### საკუთარი კაპიტალი

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება საკუთარ კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი დამტკიცდა კომპანიის აქციონერების მიერ.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)**

#### **საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა პროცენტის მომტანი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, გარდა მოგებისა და ზარალის საფუძველზე სამართლიან ღირებულებად შეფასებულ კატეგორიაში გასული ინსტრუმენტებისა, აისახება მოგებაში, ან ზარალში, როგორც “საპროცენტო შემოსავალი და “საპროცენტო ხარჯი” ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდზე, როცა ისინი წარმოიშვა.

როდესაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება მოხდება იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც მოხდა სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასების მიზნით. ჩამოწერილ სესხებთან დაკავშირებით მიღებული გადახდების აღიარება არ ხდება წმინდა საპროცენტო შემოსავალში.

#### **ნასესხები სახსრების ხარჯების კაპიტალიზაცია**

ნასესხები სახსრების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ისეთი აქტივის შეძენას, დამუშავებას, ან წარმოებას, რომელიც არ არის გატარებული სამართლიანი ღირებულებით და აუცილებლად საჭიროებს დროის გარკვეულ პერიოდს დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის მოსამზადებლად, იმ შემთხვევაში შედის ამ აქტივის ხარჯში, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის 2009 წლის 1 იანვარი, ან შემდგომი თარიღი. სხვა დანახარჯები ნასესხებ სახსრებზე აისახება, როგორც ხარჯი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხებ სახსრებზე ეჯგუფი კაპიტალიზაციას ახდენს იმ ხარჯებისა, რომელთა თავიდან არიდება მოხერხდებოდა, ბანკს რომ კაპიტალური დანახარჯები არ გაეწია კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც (ა) ჯგუფი გასწევს დანახარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს ნასესხებ თანხებზე; და (გ) მიიღებს ზომებს, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად, ან გასაყიდად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც კვალიფიციური აქტივის დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის, ან გასაყიდად განხორციელებული ყველა საქმიანობა დასრულდება. პროცენტი, ან სხვა შემოსავალი ინვესტიციიდან არ გამოიქვითება კაპიტალიზაციისათვის ხელმისაწვდომი ნასესხები სახსრების ხარჯების თანხის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მიიღებს სპეციფიურ ნასესხებ სახსრებს კვალიფიციური აქტივის შეძენის მიზნით, და გააჩნია საინვესტიციო შემოსავალი ასეთი სპეციფიური სესხებით მიღებული ფულადი სახსრების დროებითი ინვესტიციიდან.

#### **საკომისიო შემოსავალი და ხარჯები**

საკომისიო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც გაიწევა მომსახურება.

სასესხო ვალდებულების საკომისიო იმ სესხებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება, გადავადებულია (დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაკორექტირება. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების საკომისიო ჩაითვლება შემოსავლად მაშინ, როდესაც გაერთიანების დასრულების შემდეგ ჯგუფი არ შეინარჩუნებს სასესხო პორტფელის ნაწილს თავისთვის, ან შეინარჩუნებს იმავე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად, როგორც სხვა მონაწილეები.

#### 4. დაშვებები და პროგნოზები

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასა და ფინანსურ შედეგზე გავლენას ახდენს სააღრიცხვო მეთოდები, დაშვებები, პროგნოზები და მენეჯმენტის გადაწყვეტილება, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულო ყველა დაშვება და პროგნოზი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად მაქსიმალური სიზუსტით გაკეთებულ შეფასებას. პროგნოზები და გადაწყვეტილებები ფასდება უწყვეტად და ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინს სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებით და ითვლება მიზანშეწონილად მოცემულ პირობებში.

საბუღალტრო პოლიტიკა და მენეჯმენტის გადაწყვეტილება გარკვეულ მუხლებზე განსაკუთრებით კრიტიკული მნიშვნელობისაა ჯგუფის შედეგებისათვის და ფინანსური მდგომარეობისთვის, მათი რაოდენობრივად მნიშვნელოვანი მოცულობის გამო. ეს ეხება სესხებზე შესაძლო დანაკარგებისთვის შექმნილ რეზერვებსაც. რეალური დანაკარგების 10%-იანი ზრდა ან კლება, ზარალის ერთიან პროგნოზთან შედარებით განაპირობებს სესხების გაუფასურებით გამოწვეული 1 118 ლარის ზარალის გაზრდას ან შემცირებას (2010 წ: 1 1,125 ლარი), გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში ეყრდნობა ინდივიდუალური სესხების დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, ვალდებულებების დაფარებისა და სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გათვალისწინებით. რეალური დანაკარგების 10%-იანი ზრდა ან კლება, ინდივიდუალურად შეფასებულ მნიშვნელოვან სესხებზე სამომავლოდ პროგნოზირებულ დისკონტირებულ ფულად ნაკადებთან შედარებით, რაც შეიძლება წარმოიშვეს ფულადი ნაკადების თანხებსა და დროში განსხვავებების გამო, განაპირობებს სესხების გაუფასურებით გამოწვეული 367 000 ლარის ზარალის გაზრდას ან შემცირებას (2010 წ: 536 000 ლარი), შესაბამისად.

ამ ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო მეთოდები მოცემულია ზემოთ. ეს მეთოდები მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ წალიწაღზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ იყო მითითებული. ჯგუფის ფისკალური წელი კალენდარული წელიწადია.

**საქმიანობის უწყვეტობის პრინციპი.** მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური უწყისები მოამზადა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური პოზიცია, ამჟამინდელი მიზნები, საქმიანობის მომგებიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე და გაანალიზა ცოტა ხნის წინ მომხდარი ფინანსური კრიზისის შედეგი ჯგუფის სამომავლო საქმიანობაზე. კერძოდ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა 12 თვემდე ვადიანობის მიხედვით ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კუმულატიური უარყოფითი ლიკვიდურობის დეფიციტის არსებობა (იხ. შენიშვნა 26) და დაასკვნა, რომ მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტის პროგნოზის მიხედვით ჯგუფს არ ემუქრება მოკლევადიანი ლიკვიდური სახსრების დეფიციტი.

## 5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში

2011 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს.

***შესწორებები IAS 24-ში "დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება" (გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს ან შემდგომ).***

IAS 24-ის შესწორება მოხდა: 2009 წელს (ა) დაკავშირებული მხარის განმარტების გამარტივების, მისი მნიშვნელობის უკეთ ახსნისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის და (ბ) სამთავრობო კომპანიების ინფორმაციის წარმოდგენისგან ნაწილობრივი გათავისუფლების გზით. აღნიშნული შესწორებული სტანდარტის შედეგად, ჯგუფი ასევე ამჟღავნებს ინფორმაციას დაკავშირებულ მხარეებზე საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

***საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესებული სტანდარტები (გამოშვებული 2010 წლის მაისში, ძალაშია შესული 2011 წლის იანვრიდან).***

გაუმჯობესება გულისხმობს არსებით ცვლილებებს, განმარტებებს და შეცვლილ ტერმინოლოგიას შემდეგ სტანდარტებსა და განმარტებებში: IFRS 1 შეიცვალა, რათა (I) შესაძლებელი გამხდარიყო წინა GAAP-ის მიხედვით საბალანსო ღირებულების გამოყენება ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის, ან არამატერიალური აქტივის პირობით ღირებულებად, თუ ეს აქტივი გამოიყენება ოპერაციებში, რომლებიც ტარიფების დარეგულირებას ექვემდებარება, (II) შესაძლებელი გამხდარიყო მოვლენების საფუძველზე გადაფასების გამოყენება ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის პირობით ღირებულებად, მაშინაც კი, როცა გადაფასება ხდება პირველი IFRS-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ უწყისებში ასახული პერიოდის განმავლობაში, (III) პირველადი მიმღებისთვის სავალდებულო ყოფილიყო ცვლილებების ახსნა სააღრიცხვო პოლიტიკაში, ან IFRS1-ით გათვალისწინებულ გამონაკლისებში, IFRS -ის მიხედვით მომზადებულ პირველ შუალედურ უწყისსა და IFRS-ის მიხედვით მომზადებულ პირველ ფინანსურ უწყისებს შორის; შეიცვალა IFRS 3, რათა (i) სავალდებულო გამხდარიყო არასაკონტროლო წილის სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა IFRS სხვა სტანდარტით შეფასების სხვაგვარი მეთოდი სავალდებულოა), რომელიც არ არის მიმდინარე წილი კაპიტალში და მფლობელს არ აძლევს ლიკვიდაციის შემთხვევაში წმინდა აქტივებზე პროპორციული წილის მოთხოვნის უფლებას, (ii) შემოეღო მითითებები ისეთი შემთხვევებისთვის, როცა შესყიდული კომპანიის აქციათა წილის საფუძველზე გადახდის მოდელი ბიზნესების გაერთიანების შედეგად არ შეცვლილა, ან ნებაყოფლობით შეიცვალა და (iii) განემარტა ის, რომ ბიზნესის გაერთიანებიდან მიღებული შესაძლო კომპენსაცია, რაც მოხდა შეცვლილი IFRS 3-ის ძალაში შესვლის თარიღამდე (გამოიცა 2008 წლის იანვარში) აღრიცხება მხოლოდ IFRS 3-ის წინა ვერსიის მითითებების მიხედვით; IFRS 7 შეიცვალა ინფორმაციის გამჟღავნების ზოგიერთი მოთხოვნის დასაზუსტებლად, კერძოდ (I) ყურადღება გამახვილდა ფინანსური რისკების ხასიათის და დონის შესახებ რაოდენობრივი და ხარისხობრივი განმარტებების ურთიერთქმედებაზე, (II) ამოღებულ იქნა მოთხოვნა გადასინჯული ფინანსური აქტივების საბალანსო ოდენობის გამჟღავნების თაობაზე, რაც სხვა შემთხვევაში ვადაგადაცილებული, ან გაუფასურებული იქნებოდა, (III) შეიცვალა მოთხოვნა უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების შესახებ უფრო ზოგადი მოთხოვნით ფინანსური შედეგის გამჟღავნების თაობაზე, და (IV) განიმარტა, რომ ორგანიზაციამ უნდა გაამჟღავნოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების ოდენობა ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით და არა ანგარიშგების პერიოდში მიღებული თანხა; IAS 1 შეიცვალა, რათა განმარტებულიყო მოთხოვნები საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების ფორმისა და შინაარსის თაობაზე; IAS 27 შეიცვალა, რათა განმარტებულიყო გადასინჯული IAS 27-ის მიერ (შეიცვალა 2008 წლის იანვარში) IAS 21, 28 და 31-ში შეტანილი ცვლილებებისთვის გარდამავალი პერიოდის წესები;



## 5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში (გაგრძელება)

შეიცვალა IAS 34, რათა დამატებოდა მაგალითები მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ტრანზაქციების შესახებ, რომლებიც მოითხოვს ინფორმაციის წარმოდგენას შემოკლებული შუალედური ფინანსური უწყისების სახით, მათ შორის გადასვლებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის, ცვლილებებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში, ან ბინესის ეკონომიკურ გარემოში, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე; და შეიცვალა IFRIC 13, რათა განმარტებულიყო გაცემული კრედიტების სამართლიანი ღირებულების შეფასება. ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება ან მონაცემების გადახედვა, თუმცა ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ოპერაციების შეფასებასა ან აღიარებაზე და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებზე. უზრუნველყოფის ფინანსური შედეგი, რომლის გამჟღავნება სავალდებულოა IFRS 7-ში შეტანილი ცვლილებების თანახმად, წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში საგირავნო ღირებულებების ცალკე გატარების გზით: (i) იმ ფინანსური აქტივებისთვის, სადაც გირაო და კრედიტის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები უდრის, ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ("ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები") და (ii) იმ ფინანსური აქტივებისთვის, სადაც გირაო და კრედიტის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია ("ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები").

*მიმდინარე პერიოდში მოქმედი სხვა შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები* IFRIC 19-ს "ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტით", IAS 32-ში შეტანილ ცვლილებებს "უფლებების ემისიის კლასიფიკაციის შესახებ", IFRIC 14-ში მოცემულ განმარტებებს "IAS 19 – ფიქსირებული საპენსიო აქტივის ლიმიტი, ფინანსირების მინიმალური მოთხოვნები და მათი ურთიერთკავშირი", რომელიც ეხება ფინანსირების მინიმალური მოთხოვნების წინასწარ გადახდას, და IFRS 1-ის ცვლილებებს "საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი მიღება" არ მოუხდენია რაიმე გავლენა ამ ფინანსური ანგარიშგებაზე.

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა ბანკის 2012 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიანდელი თარიღით დაწყებული, და შემდგომი წლიური სააღრიცხვო პერიოდებისათვის და რომლებიც ჯგუფს ადრე არ ჰქონია მიღებული.

### *IFRS 9 "ფინანსური ინსტრუმენტები". ნაწილი 1: კლასიფიკაცია და შეფასება.*

IFRS 9 2009 წლის ნოემბერში გამოიცა და ჩაანაცვლა IAS 39 -ის ის ნაწილები, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან იყო დაკავშირებული. IFRS 9-ში შემდეგ ისევ შევიდა ცვლილება 2010 წლის ოქტომბერში ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების თაობაზე. სტანდარტის ძირითადი მაჩვენებლებია:

- ფინანსური აქტივები შეფასების ორი კატეგორიის მიხედვით უნდა იყოფოდეს: სამართლიანი ღირებულებით შეფასება და ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება. გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებისას უნდა მიიღებოდეს. კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს მოდელსა და ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის მაჩვენებლებზე.

## 5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში (გაგრძელება)

- ინსტრუმენტის შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სავალო ინსტრუმენტია და (i) კომპანიის ბიზნეს მოდელის მიზანს აქტივის ფლობა წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობების ამოღების მიზნით, და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს წარმოადგენს (ანუ, მას აქვს მხოლოდ “სესხის ძირითადი მახასიათებლები”). ყველა სხვა სავალო ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგება-ზარალის მიხედვით.
- ყველა წილობრივი ინსტრუმენტის შემდგომი შეფასება სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. სავაჭროდ განკუთვნილი წილობრივი ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგება-ზარალის მიხედვით. საკუთარ კაპიტალში ინვესტიციების ყველა დანარჩენ შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას შესაძლებელია განხორციელდეს შეუცვლადი არჩევა, არარეალიზებული და რეალიზებული სამართლიანი ღირებულების მოგებისა და ზარალის “სხვა მთლიანი შემოსავალში” და არა მოგება-ზარალში აღიარების მიზნით. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება და დანაკარგები მოგებაში, ან ზარალში აღარ გადაიწერება. ასეთი არჩევა შესაძლებელია ინდივიდუალურად, თითოეული ინსტრუმენტის მიხედვით. დივიდენდები წარმოდგენილი უნდა იყოს მოგება-ზარალში, რამდენადაც ინვესტიციაზე ამონაგებს წარმოადგენს.
- IAS 39-ის მოთხოვნების უმრავლესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე უცვლელად გადავიდა IFRS 9-ში. ძირითადი ცვლილება ისაა, რომ ორგანიზაციას მოეთხოვება, სხვა მთლიან მოგებაში წარმოადგინოს მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილებების შედეგები.

რადგანაც IFRS 9 სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვრიდან, მისი ვადამდელი მიღებაც ნებადართულია. ჯგუფი სტანდარტის მნიშვნელობებს განიხილავს, მის ზემოქმედებას ჯგუფზე და მისი მიღების ვადას.

***IFRS 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს, ან უფრო გვიანდელი თარიღით), შეცვალა კონტროლსა და კონსოლიდაციასთან დაკავშირებული IAS 27-ის მითითებები "კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება" და SIC-12 კონსოლიდაცია – საგანგებო მიზნით შექმნილი ერთეულები". IFRS 10-ში შეცვლილია "კონტროლის" განმარტება, სადაც კონტროლის განსაზღვრის მიზნით ყველა ერთეულის მიმართ გამოყენებულია იგივე კრიტერიუმები. ეს განმარტება ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე.

***IFRS 11 ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებები*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან უფრო გვიანდელი თარიღით) შეცვალა IAS 31 შონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში" და SIC -13 "ერთობლივად მართული ერთეულები – ერთობლივი საწარმოების არაფულადი შენატანები". განმარტებების ცვლილების შედეგად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებების ორი სახეობა დარჩა: საერთო ოპერაციები და საერთო საწარმოები. გაუქმდა არსებული პოლიტიკის ფარგლებში შერჩეული ერთობლივად მართული ერთეულების პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდი. საერთო საქმიანობის მონაწილეებს მოეთხოვებათ საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე.

**5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში (გაგრძელება)**

***IFRS 12 სხვა ერთეულებში არსებული წილის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან შემდგომ) ეხება ორგანიზაციებს, რომლებიც შვილობილი კომპანიის, ერთობლივი საწარმოს, ასოცირებული ან არაკონსოლიდირებული სტრუქტურული ერთეულის წილს ფლობენ. აღნიშნულმა სტანდარტმა IAS 28–ში "ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში" არსებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები ჩაანაცვლა. IFRS 12–ის მიხედვით ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მკითხველს დაეხმარება შვილობილ კომპანიებში, საერთო საწარმოებში, ასოცირებულ და არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ორგანიზაციის წილის, მასთან დაკავშირებული რისკების და ფინანსური შედეგების შეფასებაში. აქედან გამომდინარე, ახალი სტანდარტის მიხედვით სავალდებულოა გარკვეულის სახის ინფორმაციის გამჟღავნება, როგორცაა: მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები იმის განსაზღვრისას, ახორციელებს თუ არა ორგანიზაცია ერთპიროვნულ, ერთობლივ ან მნიშვნელოვან კონტროლს სხვა ერთეულებში; დაწვრილებითი ინფორმაცია ჯგუფის არაკონტროლირებული წილის და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; შეჯამებული ფინანსური მონაცემები არსებითი არაკონსოლიდირებული წილის მქონე შვილობილ საწარმოებზე და დეტალური ინფორმაცია არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ ერთეულებში არსებული წილის შესახებ. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე

***IFRS 13 შეფასება სამართლიანი ღირებულებით*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან შემდგომ), მიზნად ისახავს ანგარიშგების შესაბამისობის გაუმჯობესებას და მისი სირთულის შემცირებას "სამართლიანი ღირებულების" სხვაგვარად განმარტების, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებში სამართლიანი ღირებულების შეფასების და გატარების ერთიანი წყაროს უზრუნველყოფის გზით. ამჟამად ჯგუფი მის ფინანსურ ანგარიშგებაზე შეცვლილი სტანდარტის ზეგავლენას აფასებს.

***IAS 27 ცალკე ფინანსური ანგარიშგება*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან შემდგომ) შეიცვალა. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, ცალკე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორგანიზაციამ ანგარიშგებაში უნდა ასახოს და აღრიცხოს შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და ასოცირებულ კომპანიებში ჩადებული ინვესტიციები, კონტროლსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული მითითებები ჩაანაცვლა სტანდარტმა IFRS 10 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება". ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე

***IAS 28 ბნევსტიციები ასოცირებულ კომპანიებსა და შვილობილ საწარმოებში*** (გამოიცა 2011 წლის მაისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან შემდგომ). IAS 28–ის ცვლილება დაკავშირებული იყო საბჭოს ერთობლივი საწარმოების პროექტთან. ამ პროექტის განხილვისას საბჭომ გადაწყვიტა, რომ წილობრივი მონაწილეობის მეთოდით ერთობლივი საწარმოების აღრიცხვა უნდა შევიდეს IAS 28–ში, ვიდაიდან ეს მეთოდი როგორც ერთობლივ საწარმოებს, ასევე ასოცირებულ კომპანიებსაც ეხება. აღნიშნული გამონაკლისის გარდა, დანარჩენი მითითებები უცვლელი დარჩა. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე

## 5. ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში (გაგრძელება)

*"ინფორმაციის გამჟღავნება — ფინანსური აქტივების გადაცემა" – ცვლილებები IFRS 7-ში (გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 ივლისს, ან შემდგომ).* ცვლილება მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას გადაცემული ფინანსური აქტივებიდან წარმომდგარი რისკების შესახებ. ცვლილების მიხედვით სავალდებულოა აქტივების კლასების მიხედვით სხვა მხარისთვის გადაცემული, მაგრამ ჯერ კიდევ ორგანიზაციის საბალანსო უწყისზე დარჩენილი ფინანსური აქტივების ხასიათის, საბალანსო ღირებულების, რისკების აღწერის და შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება. ინფორმაციის გამჟღავნება ასევე სავალდებულოა იმისთვის, რომ მომხმარებელს საშუალება მიეცეს, გაიგოს დაკავშირებული ვალდებულებების ოდენობა და ურთიერთობა ფინანსურ აქტივებსა და დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის. თუ ფინანსური აქტივების აღიარება გაუქმებულია, მაგრამ ორგანიზაციას მაინც აქვს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით გარკვეული რისკები და შემოსავალი, სავალდებულოა დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება ამ რისკების შედეგებში გასარკვევად. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე

*ცვლილებები IAS 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" (გამოიცა 2011 წლის ივნისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 ივლისს, ან შემდგომ)* ეხება სხვა მთლიან შემოსავალში წარდგენილი მუხლების გამჟღავნებას. ცვლილებების მიხედვით, ორგანიზაციამ მთლიან შემოსავალში წარდგენილი მუხლები ორ ჯგუფად უნდა დაყოს, იმისდა მიხედვით, შესაძლებელია თუ არა სამომსავლოდ მათი რეკლასიფიცირება მოგებაში, ან ზარალში. IAS 1-ში მოცემული დასახელება შეიცვალა როგორც "მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის უწყისი". ჯგუფის აზრით, სტანდარტის შეცვლის შედეგად აუცილებელი გახდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმის შეცვლა, თუმცა ეს ცვლილებები არ იმოქმედებს მის მიერ ტრანზაქციების და ნაშთების შეფასების მეთოდზე.

*შესწორებული სტანდარტი IAS 19 "თანამშრომელთა შეღავათები" (გამოიცა 2011 წლის ივნისში და ვრცელდება წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 ივლისს, ან შემდგომ)* არსებითად შეეხო ფიქსირებული საპენსიო ხარჯების და სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში გადასახდელი კომპენსაციის აღიარების და შეფასების მეთოდებს, ასევე თანამშრომლების ყველა შეღავათების შესახებ მონაცემების გამჟღავნებას. სტანდარტის მიხედვით, ყველა მომხდარი ცვლილება აღიარებულ უნდა იქნას ფიქსირებულ საპენსიო გასაცემლებთან დაკავშირებულ წმინდა ვალდებულებაში (აქტივში) შემდეგნაირად: (i) მომსახურების ხარჯი და წმინდა პროცენტი – მოგებაში, ან ზარალში; და (ii) გადაფასებები – სხვა მთლიან შემოსავალში. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე

*სხვა შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები* IFRS 1-ის ცვლილება "საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი მიღება", რომელიც ძლიერ ჰიპერინფლაციას ეხება და ზოგიერთი გამონაკლისების შემთხვევაში ფიქსირებული თარიღების მითითების ვალდებულებას აუქმებს, არ იქონიებს რაიმე გავლენას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. IAS 12-ის ცვლილება "მოგების გადასახადები", სადაც მოცემულია უარსაყოფი პრეზუმფიცია იმისა, რომ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო საკუთრება გაყიდვის შედეგად მთლიანად იქნება ამოღებული, არ იქონიებს გავლენას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. IFRIC 20 "სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმოო პროცესში გაწეული ხარჯები კარიერის გადახსნის სამუშაოებზე" ითვალისწინებს, როდის და როგორ უნდა მოხდეს სამთომომპოვებელი საწარმოს მიერ გადახსნის სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული სარგებლის აღრიცხვა.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**6. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები**

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტი შემდეგ მუხლებს მოიცავს:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ხელთ არსებული ნაღდი ფული	45 969	43 377
ნაშთები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვებისა	66 329	45 228
სებ-ის დეპოზიტების სერტიფიკატი	12 947	18 262
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში	59 857	26 396
<b>ნაღდი ფული სულ</b>	<b>185 102</b>	<b>133 263</b>

საქართველოს მთავრობის სუვერენული საკრედიტო რისკის რეიტინგი 2011 წელს სარეიტინგო სააგენტოს Fitch-ის მიხედვით იყო მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “BB-” (2010 წელს მოკლევადიანი იყო “B” და გრძელვადიანი “B+”).

შემდეგი ნაღდი ფულის ეკვივალენტები მიჩნეულია ნაღდი ფულად ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისთვის:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები	185 102	133 263
სხვა ბანკებისგან მისაღები სამ თვემდე დაფარვის ვადით (შენიშვნა 7)	34 060	76 261
სავალდებულო რეზერვი სებ-ში, რომელიც ნაღდი ფულად არ კლავიფიცირდება		
ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშისთვის	(59 857)	(26 396)
<b>ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისთვის</b>	<b>159 305</b>	<b>183 128</b>

ნაღდი ფულის და ნაღდი ფულის ეკვივალენტების მიახლოებული განსაზღვრული დირეგულაცია 27-ე შენიშვნაშია მოცემული, ხოლო ნაღდი ფულის და ნაღდი ფულის ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი - 26-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ**

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ OECD ქვეყნებში	19 014	69 580
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ არა OECD ქვეყნებში	15 551	8 778
<b>სულ</b>	<b>34 565</b>	<b>78 358</b>

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგები Fitch Investor Services–ის შეფასების მიხედვით:

ათასი ლარი					ურეიტინგო	სულ
არც ვადაგადაცილებული და არც გაუარესებული	<b>AA</b>	<b>A</b>	<b>BBB</b>	<b>&lt;BBB</b>		
31 დეკემბერი, 2011 წ.	820	18 251	-	15 494	-	<b>34 565</b>
31 დეკემბერი, 2010 წ.	18 283	51 299	200	8 576	-	<b>78 358</b>

სხვა ბანკებისაგან მისაღები თანხების თითოეული კლასის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება მოცემულია 27-ე შენიშვნაში, საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**8. გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები**

ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომლებიც არ არის მოცემული როგორც მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, მიეკუთვნება გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების კატეგორიას. ეს მუხლი ძირითადად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფასიან ქაღალდებს მოიცავს.

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდება (საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვიქსილები) აქციები არა-OECD ქვეყნებში არსებულ ქვეყნებში მდებარე კომპანიებში	199	5 992 435
<b>სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები</b>	<b>199</b>	<b>6 427</b>

საქართველოს მთავრობის სუვერენული საკრედიტო რისკის რეიტინგი 2009 წელს Fitch –ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით იყო მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+” (2010:მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+”).

წილი არა OECD–ში მდებარე ქვეყნების კომპანიებში მოიცავს:

'000 ლარი	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2011 წ.	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2010 წ.
პროკრედიტის რეგიონალური აკადემია მაკედონიაში	0%	-	8.33%	236
ს/ს კრედიტიინფო, საქართველო	16.63%	95	16.63%	95
ს/ს საქართველოს გაერთიანებული კლირინგ ცენტრი	6.25%	54	6.25%	54
ს/ს ამერიკული აკადემია თბილისში	4.85%	50	5.38%	50
<b>სულ</b>		<b>199</b>		<b>435</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**8. გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)**

სააქციონერო კაპიტალში ინვესტიციები ხორციელდება 199 ათასი ლარის ღირებულებით (2010: 435 ათასი). ინვესტიციის მიმღებს არ გამოუქვეყნებია უახლესი ფინანსური ინფორმაცია თავისი ოპერაციების შესახებ, მისი წილი არ არის კოტირებული და უახლესი სავაჭრო ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ჯგუფის მენეჯმენტს არ შეუძლია საიმედოდ შეაფასოს სააქციონერო კაპიტალში დაბანდების ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება. 2011 წელს ჯგუფმა გაასხვისა მხოლოდ მაკედონიაში მდებარე პროკრედიტ რეგიონალური აკადემიის EE-ს აქციები (იხ. შენიშვნა 30).

**ცვლილებები გასაყიდად ხელმისაწვდომ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში**

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
<b>ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის</b>	5 992	435	6 427
შესყიდვებს გამოკლებული დისკონტები დარიცხული პროცენტი	12 505 17	(236)	12 505 17
გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისება	(18 514)		(18 750)
<b>ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	-	<b>199</b>	<b>199</b>

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
<b>ნაშთი 2010 წლის 1 იანვრისთვის</b>	3 922	435	4 357
შესყიდვებს გამოკლებული დისკონტები დარიცხული პროცენტი	5 772 220		5 772 220
გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისება	(3 922)		(3 922)
<b>ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>5 992</b>	<b>435</b>	<b>6 427</b>

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი სავალლო ფასიანი ქაღალდებისთვის 26-ე შენიშვნაშია მოცემული.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები**

კლიენტთა სესხების კონცენტრაცია კლასებისა და თავდაპირველი მოცულობის მიხედვით შემდეგია:

'000 ლარი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი თანხა	გაუარესების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელის წილი	დაუფარავი სესხების რაოდენობა	მთლიანი თანხის წილი
<b>ბიზნეს სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე		(1 666)	78 199	11.71%	15 299	34.80%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	137 983	(3 393)	134 591	20.16%	6 004	13.66%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	256 146	(5 191)	250 955	37.59%	3 046	6.93%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	128 300	(3 201)	125 099	18.74%	286	0.65%
<b>ბიზნეს სესხები სულ</b>	<b>602 294</b>	<b>(13 451)</b>	<b>588 844</b>	<b>88.21%</b>	<b>24 635</b>	<b>56.03%</b>
<b>აგრო სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	19 676	(285)	19 390	2.9%	4 819	10.96%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	11 939	(326)	11 613	1.74%	519	1.18%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	7 285	(98)	7 187	1.08%	93	0.21%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	1 208	(13)	1 195	0.18%	4	0.01%
<b>აგრო სესხები სულ</b>	<b>40 108</b>	<b>(722)</b>	<b>39 385</b>	<b>5.90%</b>	<b>5 435</b>	<b>12.36%</b>
<b>ბინის კეთილმოწყობის სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	8 418	(126)	8 292	1.24%	3 793	8.63%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	8 057	(165)	7 893	1.18%	388	0.88%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	5 013	(66)	4 947	0.74%	71	0.16%
<b>ბინის კეთილმოწყობის სესხები სულ</b>	<b>21 488</b>	<b>(357)</b>	<b>21 132</b>	<b>3.17%</b>	<b>4 252</b>	<b>9.67%</b>
<b>სამომხმარებლო სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	9 111	(137)	8 973	1.34%	8 503	19.34%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	1 793	(64)	1 729	0.26%	84	0.19%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	780	(9)	772	0.12%	11	0.03%
<b>სამომხმარებლო სესხები სულ</b>	<b>11 684</b>	<b>(210)</b>	<b>11 474</b>	<b>1.72%</b>	<b>8 598</b>	<b>19.56%</b>
<b>სხვა სესხი</b>		(				
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	3 169	45)	3 124	0.47%	885	2.01%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	2 760	(56)	2 703	0.4%	144	0.33%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	876	(9)	867	0.13%	19	0.04%
<b>სხვა სესხები სულ</b>	<b>6 805</b>	<b>(110)</b>	<b>6 694</b>	<b>1.00%</b>	<b>1 048</b>	<b>2.38%</b>
<b>სულ</b>	<b>682 379</b>	<b>(14 850)</b>	<b>667 529</b>	<b>100.00%</b>	<b>43 968</b>	<b>100.00%</b>

პროკრედიტ ბანკიჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

'000 ლარი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი თანხა	გაუარესების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელი ს წილი	დაუფარავი სესხების რაოდენობა	მთლიანი თანხის წილი
<b>ბიზნეს სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	67 750	(1 753)	65 997	11.41%	16 903	34.45%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	86 741	(3 087)	83 654	14.47%	4 704	9.59%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	171 473	(4 514)	166 959	28.87%	3 488	7.11%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	196 016	(5 937)	190 079	32.87%	1 440	2.94%
<b>ბიზნეს სესხები სულ</b>	<b>521 980</b>	<b>(15 291)</b>	<b>506 689</b>	<b>87.61%</b>	<b>26 535</b>	<b>54.09%</b>
<b>აგრო სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	13 560	(234)	13 326	2.30%	4 579	9.33%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	4 405	(145)	4 260	0.74%	241	0.49%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	5 685	(81)	5 604	0.97%	118	0.24%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	1 349	(15)	1 334	0.23%	9	0.02%
<b>აგრო სესხები სულ</b>	<b>24 999</b>	<b>(475)</b>	<b>24 524</b>	<b>4.24%</b>	<b>4 947</b>	<b>10.08%</b>
<b>ბინის კეთილმოწყობის სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	11 092	(191)	10 901	1.89%	5 917	12.06%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	8 209	(211)	7 998	1.38%	467	0.95%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	5 720	(79)	5 641	0.98%	118	0.24%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	829	(10)	819	0.14%	34	0.07%
<b>ბინის კეთილმოწყობის სესხები სულ</b>	<b>25 850</b>	<b>(491)</b>	<b>25 359</b>	<b>4.39%</b>	<b>6 536</b>	<b>13.32%</b>
<b>სამომხმარებლო სესხები</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	8 452	(129)	8 323	1.44%	9 536	19.44%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	1 276	(25)	1 251	0.22%	107	0.22%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	775	(9)	767	0.13%	32	0.07%
სესხები 150 000 აშშ დოლარზე ზემოთ	92	(1)	91	0.02%	6	0.01%
<b>სამომხმარებლო სესხები სულ</b>	<b>10 595</b>	<b>(163)</b>	<b>10 432</b>	<b>1.81%</b>	<b>9 681</b>	<b>19.74%</b>
<b>სხვა სესხი</b>						
სესხები 10 000 აშშ დოლარამდე	3 120	(40)	3 080	0.53%	883	1.8%
სესხები 10 000–დან 30 000 აშშ დოლარამდე	5 025	(111)	4 914	0.85%	370	0.75%
სესხები 30 000–დან 150 000 აშშ დოლარამდე	3 360	(39)	3 321	0.57%	108	0.22%
<b>სხვა სესხი სულ</b>	<b>11 505</b>	<b>(190)</b>	<b>11 315</b>	<b>1.95%</b>	<b>1 361</b>	<b>2.77%</b>
<b>სულ</b>	<b>594 929</b>	<b>(16 610)</b>	<b>578 319</b>	<b>100.00%</b>	<b>49 060</b>	<b>100.00%</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შესაძლო გაუარესების რეზერვის განაწილება სესხების კლასების მიხედვით:

'000 ლარი	ბინის კეთილმოწყობის სესხები			სამომხმარებლის		სულ
	ბიზნეს	აგრო	სესხები	ეზლო	სხვა	
<b>სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2010 წლის 1 იანვრისთვის</b>	<b>15 140</b>	<b>456</b>	<b>572</b>	<b>116</b>	<b>336</b>	<b>16 621</b>
სესხებზე გაუარესების რეზერვი/ (ამოღებული სესხები) წლის განმავლობაში	3 119	(47)	45	196	(61)	<b>3 253</b>
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(7 426)	(144)	(263)	(210)	(170)	<b>(8 215)</b>
ჩამოწერილი აქტივების ამოღება	4 458	210	137	61	85	<b>4 951</b>
<b>სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>15 291</b>	<b>475</b>	<b>491</b>	<b>163</b>	<b>190</b>	<b>16 610</b>
სესხებზე გაუარესების რეზერვი/ (ამოღებული სესხები) წლის განმავლობაში	349	318	(128)	84	(44)	<b>579</b>
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(5 253)	(228)	(109)	(67)	(95)	<b>(5 752)</b>
ჩამოწერილი აქტივების ამოღება	3 064	158	102	30	60	<b>3 414</b>
<b>სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>13 451</b>	<b>722</b>	<b>357</b>	<b>210</b>	<b>110</b>	<b>14 850</b>

გარდა გაუარესებით გამოწვეული ზარალის განსაკუთრებული რეზერვისა იმ დებიტორულ დავალიანებაზე, რომლის გაუარესების ობიექტური მტკიცებულება არსებობს, შეიქმნა რეზერვები კლიენტთა იმ სასესხო პორტფელთან დაკავშირებული გაუარესებით გამოწვეული ზარალის დასაფარად, რომელიც გაწეულია, მაგრამ იდენტიფიცირებული არ არის. სესხების გაუარესების რეზერვი შემდეგნაირადაა განაწილებული:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ცალკე აღებული მნიშვნელოვანი სესხების გაუარესების რეზერვი	3 673	5 358
ცალკე მნიშვნელობის არმქონე სესხების გაუარესების ერთობლივად შეფასებული სესხების რეზერვი	2 702	3 455
	8 475	7 797
<b>სულ</b>	<b>14 850</b>	<b>16 610</b>

სესხების თითოეული ჯგუფის ანალიზი 26-ე შენიშვნაშია მოცემული.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	ბიზნეს	აგრო	ბინის კეთილ- მოწყობის	სამომხმარებ ლო	სხვა	სულ
<b>არც ვადაგადაცილებული, არც გაუარესებული</b>						
< 10,000 USD	69 765	18 307	8 697	8 956	3 063	108 788
10,000 – 50,000 აშშ დოლარი	143 981	11 873	9 477	1 955	3 440	170 726
50 000 – 150 000 აშშ დოლარი	165 885	5 436	2 483	567	116	174 487
>150,000 USD – ორ წელზე მეტი საკრედიტო ისტორიის მქონე მსესხებლები	88 270	1 405	449	28	3	90 155
>150,000 USD – ორ წელზე ნაკლები საკრედიტო ისტორიის მქონე ახალი მსესხებლები	102 452	2 525	-	32	-	105 009
– 2011 წელს რესტრუქტურირებული სესხები	7 313	103	272	50	12	7 750
<b>არც ვადაგადაცილებული, არც გაუარესებული სულ</b>	<b>577 666</b>	<b>39 649</b>	<b>21 378</b>	<b>11 588</b>	<b>6 634</b>	<b>656 915</b>
<b>გაუარესებული სესხები</b>						
– 30 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	16 577	177	84	48	134	17 020
30 – 90 დღემდე ვადაგადაცილებული	3 573	83	12	47	13	3 728
91 – 180 დღემდე ვადაგადაცილებული	2 008	199	14	1	24	2 246
181 – 360 დღემდე ვადაგადაცილებული	2 470	-	-	-	-	2 470
<b>გაუარესებული სესხი სულ</b>	<b>24 628</b>	<b>459</b>	<b>110</b>	<b>96</b>	<b>171</b>	<b>25 464</b>
<b>გამოკლებული გაუარესების რეზერვები</b>	<b>(13 450)</b>	<b>(722)</b>	<b>(357)</b>	<b>(210)</b>	<b>(111)</b>	<b>(14 850)</b>
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>588 844</b>	<b>39 386</b>	<b>21 131</b>	<b>11 474</b>	<b>6 694</b>	<b>667 529</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	ბიზნეს	აგრო	საბინაო	სამომხმარებლო	სხვა	სულ
<b>არც ვადაგადაცილებული, არც გაუარესებული</b>						
< 10,000 USD	65 225	13 361	10 918	8 353	3 114	100 971
10,000 – 50,000 აშშ დოლარი	127 262	6 263	10 416	1 667	7 474	153 082
50 000 – 150 000 აშშ დოლარი	114 442	3 434	3 155	384	854	122 269
>150,000 USD – ორ წელზე მეტი საკრედიტო ისტორიის მქონე მსესხებლები	75 259	165	596	10	-	76 030
>150,000 USD – ორ წელზე ნაკლები საკრედიტო ისტორიის მქონე ახალი მსესხებლები	97 708	1 183	233	82	-	99 206
– 2010 წელს რესტრუქტურირებული სესხები	11 261	240	259	67	1	11 828
<b>არც ვადაგადაცილებული, არც გაუარესებული სულ</b>	<b>491 157</b>	<b>24 646</b>	<b>25 577</b>	<b>10 563</b>	<b>11 443</b>	<b>563 386</b>
<b>გაუარესებული სესხები</b>						
30 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	21 559	95	57	-	-	21 711
– 30 – 90 დღემდე ვადაგადაცილებული	3 290	130	132	23	14	3 589
91 – 180 დღემდე ვადაგადაცილებული	2 534	77	30	9	5	2 655
– 181 – 360 დღემდე ვადაგადაცილებული	3 440	51	54	-	43	3 588
<b>გაუარესებული სესხები სულ</b>	<b>30 823</b>	<b>353</b>	<b>273</b>	<b>32</b>	<b>62</b>	<b>31 543</b>
<b>გამოკლებული გაუარესების რეზერვები</b>	<b>(15 291)</b>	<b>(475)</b>	<b>(491)</b>	<b>(163)</b>	<b>(190)</b>	<b>(16 610)</b>
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>506 689</b>	<b>24 524</b>	<b>25 359</b>	<b>10 432</b>	<b>11 315</b>	<b>578 319</b>

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ აღინიშნებოდა არც ვადაგადაცილებული, არც გაუარესებული სესხები (2010 წ. – ნული). გაუარესებულ სესხებად კლასიფიცირდება სესხები, რომლებიც 30 დღეზე მეტადაა ვადაგადაცილებული. 30 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებულია სესხები მიჩნეულია მიმდინარედ.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუარესებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 233 ათას ლარს (2010 წ. – 1 270 ლარი). 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადაგადაცილებულ გაუარესებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 49 ათას ლარს (2010 წ. – 134 000 ლარი).

არც ვადაგადაცილებული და არც გაუარესებული, მაგრამ რესტრუქტურირებული სესხები წარმოადგენს იმ სესხების სააღრიცხვო ღირებულებას, რომლის პირობები ხელახლა შეთანხმდა და რომელიც სხვაგვარად ვადაგადაცილებულად ან გაუარესებულად ჩაითვლებოდა.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების თითოეული კლასის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკების მართვისა და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების საპროცენტო განაკვეთის ანალიზის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში. ინფორმაცია უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

უზრუნველყოფის ფინანსური შედეგი წარმოდგენილია საგირავნო ღირებულებების ცალკე გატარების გზით: (i) იმ აქტივებისთვის, სადაც გირაო და კრედიტის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები უდრის, ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ("ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები") და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც გირაო და კრედიტის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია ("ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები").

უზრუნველყოფის შედეგი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ბიზნეს სესხები	509 978	1 310 763	78 866	6 321
აგრო სესხები	17 464	45 947	21 922	417
საცხოვრებელი ფართის კეთილმოწყობის სესხი	14 889	41 421	6 243	301
სამომხმარებლო სესხები	3 156	9 763	8 318	-
სხვა სესხი	4 910	16 842	1 784	50

უზრუნველყოფის შედეგი 2011 წლის 31 დეკემბრის

ათასი ლარი	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ბიზნეს სესხები	439 815	995 469	66 874	6 517
აგრო სესხები	11 163	32 223	13 362	341
საცხოვრებელი ფართის კეთილმოწყობის სესხი	15 319	37 651	10 041	403
სამომხმარებლო სესხები	2 258	6 007	8 175	3
სხვა სესხი	8 546	22 848	2 769	139

ზემოთ აღნიშნულ ცხრილში მოცემული უზრუნველყოფა მოიცავს უძრავ-მოდრავ ქონებას, მაგრამ არ მოიცავს მესამე მხარის გარანტიებს.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 10. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივების განაწილება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	2011	2010
<b>პროგრამული უზრუნველყოფა</b>		
შესყიდვის მთლიანი ხარჯი 1 იანვრის მდგომარეობით	4 130	3 981
აკუმულირებული ცვეთა 1-ლი იანვრის მდგომარეობით	(1 769)	(1 218)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>2361</b>	<b>2763</b>
დამატებები	2 801	149
<b>შესყიდვის ხარჯები სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>6 931</b>	<b>4 130</b>
ცვეთა წლის განმავლობაში (შენიშვნა 25)	(853)	(551)
<b>აკუმულირებული ცვეთა 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(2 622)</b>	<b>(1 769)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4 309</b>	<b>2 361</b>

2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები მოიცავს ახალ ძირითად საბანკო პროგრამას cw.net, რომლის საბალანსო ღირებულებაც 2,321 ლარი (2010 წელს – ნული).

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**11. ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები)**

ძირითად საშუალებებში მომხდარი ცვლილებები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	'000 ლარი	მიწა და შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მშენებარ ე აქტივებ ი	ავეჯი და ინვენტარ ი	საინფორმა ციო ტექნოლოგ იები და სხვა	სულ
						აღჭურვილ ობა	
შესყიდვის მთლიანი ხარჯი		30 841	4 432	3 210	9 360	15 565	63 408
დაგროვილი ცვეთა		(1 554)	(2 170)	-	(4 997)	(9 744)	(18 465)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>		<b>29 287</b>	<b>2 262</b>	<b>3 210</b>	<b>4 363</b>	<b>5 821</b>	<b>44 943</b>
დამატება		33	106	13 897	1 267	1 914	17 217
გასხვისება		(3)	(181)	(294)	(1 489)	(1 874)	(3 841)
<b>სულ შესყიდვის ხარჯები</b>		<b>30 871</b>	<b>4 357</b>	<b>16 813</b>	<b>9 138</b>	<b>15 605</b>	<b>76 784</b>
ცვეთა წლისთვის (შენიშვნა 25)		(437)	(509)	-	(1 406)	(2 532)	(4 884)
გასხვისება		-	84	-	1 289	1 749	3 122
<b>დაგროვილი ცვეთა</b>		<b>(1 991)</b>	<b>(2 595)</b>	<b>-</b>	<b>(5 114)</b>	<b>(10 527)</b>	<b>(20 227)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>28 880</b>	<b>1 762</b>	<b>16 813</b>	<b>4 024</b>	<b>5 078</b>	<b>56 557</b>
გადაცემა		644	468	(1 449)	329	8	-
დამატება		2 522	42	9 508	789	2 654	15 515
გასხვისება		(192)	(296)	-	(230)	(548)	(1 266)
<b>სულ შესყიდვის ხარჯები</b>		<b>33 845</b>	<b>4 571</b>	<b>24 872</b>	<b>10 026</b>	<b>17 719</b>	<b>91 033</b>
ცვეთა წლისთვის (შენიშვნა 25)		(456)	(435)	-	(1 403)	(2 324)	(4 618)
გასხვისება		101	236	-	145	425	907
<b>დაგროვილი ცვეთა</b>		<b>(2 346)</b>	<b>(2 793)</b>	<b>-</b>	<b>(6 373)</b>	<b>(12 426)</b>	<b>(23 938)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>31 499</b>	<b>1 778</b>	<b>24 872</b>	<b>3 653</b>	<b>5 293</b>	<b>67 095</b>

2011 წლის განმავლობაში მოხდა 1,155 ათასი ლარის ოდენობის სესხებით დაფინანსების ხარჯების კაპიტალიზაცია (2010 წელს – 653 ათასი ლარი). თანხა გამოთვლილია 10%-იანი განაკვეთით, რაც 2008 წლის დეკემბერში მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს და ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა 2009 წელს დაწყებული ახალი სათავო ოფისის მშენებლობაზე კაპიტალდანახარჯების დასაფინანსებლად.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**12. სხვა აქტივები**

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივებია:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ფულის გადარიცხვის სააგენტოებიდან მისაღები დებიტორული დავალიანება	1 569	52
საკრედიტო ბარათების კომპანიებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება	664	-
სხვა – შემდგომ ამოღებული	22	359
<b>სხვა არაფინანსური აქტივები სულ</b>	<b>2 255</b>	<b>411</b>
<i>არამიმდინარე</i>		
მფლობელობაში დაბრუნებული ქონება	4 002	2 347
სასამართლო მოსაკრებელის და სხვა ხარჯების დასაფარავად წინასწარ გადახდილი თანხები, რეზერვის გამოკლებით	902	1 094
წინასწარი გადახდები სხვადასხვა მომსახურებაზე	798	723
სხვა სასაქონლო-მატერიალური აქტივები	661	823
წინასწარი გადახდა მშენებლობისთვის	154	2 537
სხვა არამიმდინარე მოთხოვნები	-	178
<i>მიმდინარე</i>		
მოთხოვნები საბაჟოდან და საგადასახადოდან	2 496	161
<b>სხვა არაფინანსური აქტივები სულ</b>	<b>9 013</b>	<b>7 863</b>
<b>სულ</b>	<b>11 268</b>	<b>8 274</b>

2011 წელს მფლობელობაში დაბრუნებულ ქონებაზე აღინიშნა გაუფასურების აღდგენა, რამაც 17,000 ლარი შეადგინა (10,000 ლარი 2010 წელს). სხვა ფინანსური აქტივების მიახლოებული სამართლიანი ღირებულებისთვის იხილეთ 27-ე შენიშვნა, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

### 13. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ ძირითადად ბანკშთაშორისო ბაზარზე აღებულ მოკლევადიან სესხებს და სხვა ბანკების მიერ პროკრედიტ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე შენახულ თანხებს.

ათასი ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ არა OECD ქვეყნებში	13 361	6
<b>სულ</b>	<b>13 361</b>	<b>6</b>

სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებების მიახლოებული სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**14. კლიენტთა ანგარიშები**

კლიენტთა ანგარიშები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს, შემნახველ ანაზრებსა და ვადიან ანაზრებს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტების ჯგუფები კატეგორიების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
<b>მიმდინარე ანგარიშები</b>	<b>143 114</b>	<b>116 810</b>
– კერძო პირები	37 316	39 309
– იურიდიული პირები	105 798	77 501
<b>შემნახველი ანგარიშები</b>	<b>139 140</b>	<b>145 837</b>
– კერძო პირები	103 613	129 143
– იურიდიული პირები	35 527	16 694
<b>ვადიანი ანაზრები</b>	<b>230 052</b>	<b>215 320</b>
– კერძო პირები	205 465	189 766
– იურიდიული პირები	24 587	25 554
<b>სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>1 114</b>	<b>2 525</b>
<b>სულ</b>	<b>513 420</b>	<b>480 492</b>

კატეგორია “იურიდიული პირები” მოიცავს ვალდებულებებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების მიმართ.

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია კლიენტთა ანგარიშების კატეგორიები ეკონომიკური სექტორების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
ფიზიკური პირები	346 394	358 218
ვაჭრობა და მომსახურება	76 549	63 374
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	4 938	4 634
მშენებლობა	4 554	6 385
სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა	764	344
სამთო მრეწველობა და წიაღისეულების მოპოვება	649	465
სხვა	79 572	47 072
<b>სულ</b>	<b>513 420</b>	<b>480 492</b>

2011 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს ჰყავდა 1,000 ათასი ლარზე მეტი ნაშთის მქონე 15 კლიენტი (2010 წ. – 24 კლიენტი). ამ კლიენტების ჯამური ნაშთი 82,728 ათასი ლარს (2010 წ. – 74,716 ათასი ლარი), ან კლიენტების საერთო ანგარიშების 16.1%-ს შეადგენდა (2010 წ. – 15.5%).

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა ანგარიშებში შედის საბალანსო სესხების უზრუნველყოფის სახით არსებული დეპოზიტები 7,957 ათასი ლარის ოდენობით (2010 წ. – 9,845 ათასი ლარი), აგრეთვე გარანტიებისა და აკრედიტივების თანახმად შეუცვლადი ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით არსებული დეპოზიტები 2,302 ათასი ლარის ოდენობით (2010 წ. – 1,011 ათასი ლარი). იხილეთ 29-ე შენიშვნა.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კატეგორიის მიახლოებული სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**15. სხვა წასესხი სახსრები**

ვალდებულებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ჯგუფისთვის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ამ მუხლში წარმოდგენილია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული საშუალო და გრძელვადიანი სესხები.

ცხრილში მოცემულია დეტალური კლასიფიკაცია ამ მუხლისთვის.

'000 ლარი

ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2011 წ.	31 დეკემბერი 2010 წ.
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	ნოემბერი 2012 წ.	4 874	4 739
Blue Orchard Loan for Development 2006-1 S.A	მარტი 2011 წ.	-	17 795
Blue Orchard Loan for Development 2006-1 S.A	ივნისი 2012 წ.	16 822	17 854
Microfinance Enhancement Facility SA, SICAV-SIF (BlueOrchard Pool)	დეკემბერი 2014 წ.	16 566	-
Dexia Micro-credit Fund Sub-fund BlueOrchard Debt	თებერვალი, 2014 წ.	25 593	9 125
Global Microfinance Facility ("GMF")	სექტემბერი, 2012 წ.	12 586	13 359
Nederlandse Financierings-Maatschappij voor ontwikkelingslanden N.V. ("FMO")	ოქტომბერი, 2016 წ.	25 151	5 127
Kreditanstalt für Wiederaufbau ("KfW")	იანვარი, 2011 წ.	-	2 312
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო)	ივნისი 2013 წ.	2 509	4 515
Credit Suisse Microfinance Fund Management Company ("CSMFMC" (responsAbility Global Microfinance Fund))	მარტი 2011 წ.	-	4 506
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დეკემბერი, 2026 წ.	2 942	3 412
ევროპის ფონდი სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE)	დეკემბერი 2016 წ.	24 877	-
<b>ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სულ</b>		<b>131 920</b>	<b>91 734</b>
<hr/>			
<b>ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით</b>			
Kreditanstalt für Wiederaufbau ("KfW")	იანვარი, 2014 წ.	23 839	35 315
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი ("BSTDB")	თებერვალი, 2011 წ.	-	17 985
საზღვარგარეთის კერძო საინვესტიციო კორპორაცია ("OPIC")	ოქტომბერი, 2017 წ.	25 139	26 675
The SNS Institutional Microfinance Fund ("DWM Asset Management")	იანვარი, 2013 წ.	12 121	12 088
Credit Suisse Microfinance Fund Management Company	აპრილი 2014 წ.	19 425	-
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ("EBRD")	დეკემბერი 2016 წ.	23 818	-
responsAbility SICAV (Lux)	აპრილი 2014 წ.	5 901	-
<b>ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით სულ</b>		<b>110 243</b>	<b>92 063</b>
<b>სულ</b>		<b>242 163</b>	<b>183 797</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

#### **15. სხვა ნასესხი სახსრები (გაგრძელება)**

2011 წლის ოქტომბერს ჯგუფმა ათწლიანი საკრედიტო ხელშეკრულება დადო ევროპის საინვესტიციო ბანკთან (“EIB”) 15 მილიონი ევროს თანხით, რომელიც 2012 წელს იქნება ათვისებული.

სხვა ნასესხები სახსრების მიახლოებული სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**16. სხვა ვალდებულებები**

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
კრედიტული დავალიანება	801	658
გადასახდელი დივიდენდები	86	86
სხვა	273	149
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>		
მირებული წინასწარი გადახდები და გაცემული გარანტიებისგან შემოსავალი	109	-
<b>სულ</b>	<b>1 269</b>	<b>893</b>

კრედიტორული დავალიანება მოიცავს ფილიალის გახსნის მიზნით შექმნილ შენობაზე გადასახდელ 456 ათასი ლარს (2010 წ. – 484 ათასი ლარი).

სხვა ფინანსური ვალდებულებების მიახლოებული სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში.

**17. სხვა რეზერვები**

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
რეზერვები გამოუყენებელი შვებულებებისთვის	719	1 039
გარანტიების, აკრედიტირების და აუთჯისიზაციის საკრედიტო ხაზების	109	101
სხვა	28	51
<b>სულ</b>	<b>856</b>	<b>1 191</b>

რეზერვი წლის განმავლობაში შემდეგნაირად განაწილდა:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>1 191</b>	<b>109</b>
რეზერვი წლის განმავლობაში	1 106	1 303
გამოუყენებელი რეზერვის გათავისუფლება	(1 441)	(221)
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>856</b>	<b>1 191</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**18. მოგების გადასახადი**

მოცემული წლისთვის მოგება-ზარალში აღრიცხული მოგების გადასახადების ხარჯი მოიცავს:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
მიმდინარე დარიცხული გადასახადი	2 713	4 583
გადავადებული გადასახადი (შეღვათი)	434	(1 004)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი წლისთვის</b>	<b>3 147</b>	<b>3 579</b>

მოგების გადასახადის განაკვეთი ბანკის 2011 წლის მოგების უმეტესი ნაწილისთვის 15%-ია (2010 წ. – 15%). მოგების გადასახადის განაკვეთი ბანკის შვილობილი კომპანიის მოგების უმეტესი ნაწილისთვის 15% იყო (2010 წ. – 15%). ქვემოთ შესაბამისობაშია მოყვანილი მოსალოდნელი და ფაქტობ რივი გადასახადების ხარჯები:

'000 ლარი	2011	2010
<b>მოგება გადასახადის გამოქვითვამდე</b>	<b>22 821</b>	<b>24 448</b>
თეორიული გადასახადის გადახდა კანონით დადგენილი 15%-იანი განაკვეთით (2010 2. – 15%). მუხლები, რომლებიც მოგებიდან გამოქვითვას ან გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება:	3 423	3 667
– მოგება, რომელიც არ იბეგრება	(385)	(257)
– ხარჯები, რომლებიც დასაბეგრი მოგებიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება	109	169
<b>მოგების გადასახადის ხარჯი წლისთვის</b>	<b>3 147</b>	<b>3 579</b>

განსხვავებები IFRS -ისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმებში დროებით განსხვავებებს იწვევს ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზებს შორის.

ქვემოთ დეტალურადაა მოცემული ამ დროებითი განსხვავებების საგადასახადო შედეგი, საპროცენტო განაკვეთი 15%-ს შეადგენს (2010 წელს – 15%)

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2011 წ.	დებიტი / კრედიტი მოგება- ზარალში	31 დეკემბერი, 2010 წ.	კრედიტი მოგება- ზარალში	31 დეკემბერი, 2009 წ.
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	1631	508	1 122	(779)	1 901
სხვა დროებითი განსხვავება	(155)	(74)	(80)	(225)	145
<b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება სულ</b>	<b>1476</b>	<b>434</b>	<b>1 042</b>	<b>(1 004)</b>	<b>2 046</b>

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 19. სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

'000 ლარი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი, 2011 წ.	31 დეკემბერი, 2010 წ.
<b>სუბორდინირებული სესხი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით</b>			
საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია ("OPIC")	დეკემბერი, 2019 წ.	25 087	26 744
<b>სუბორდინირებული სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით</b>			
Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. ("FMO")	ოქტომბერი 2018 წ.	17,971	17,072
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	თებერვალი, 2018 წ.	4 559	4 841
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აპრილი 2016 წ.	3 342	3 546
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აპრილი, 2018 წ.	4 503	4 778
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	მაისი, 2015 წ.	9 189	9 750
<b>სულ: პროკრედიტ ჰოლდინგი AG &amp; Co. KGaA</b>			
Kreditanstalt für Wiederaufbau ( the "KfW")	მაისი, 2012 წ.	4 054	3 955
<b>სულ</b>		<b>67 673</b>	<b>71 585</b>

კრედიტორების მოთხოვნები ამ ვალდებულებების გადახდის თაობაზე სხვა კრედიტორების მოთხოვნების მიმართ არის სუბორდინირებული. ვადამდელი გადახდის ვალდებულება არ არსებობს. ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ეს კრედიტორები მხოლოდ მას შემდეგ დაიფარება, რაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნები.

სუბორდინირებული სესხის სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 30-ე შენიშვნაში.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 20. სააქციო კაპიტალი და აქციების პრემია

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირი იყო:

'000 ლარი (გარდა აქციების რაოდენობისა) აქციონერი	2011 წლის 31 დეკემბერი			2010 წლის 31 დეკემბერი		
	წილობრივი მონაწილეობა %-ში	აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალის ოდენობა	წილობრივი მონაწილეობა %-ში	აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალის ოდენობა
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	100.00%	14 800 000	74 000	100.00%	13 700 000	68 500
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>14 800 000</b>	<b>74 000</b>	<b>100%</b>	<b>13 700 000</b>	<b>68 500</b>

თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა 5.00 ლარი.

'000 ლარი (გარდა აქციების რაოდენობისა)	გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალის ოდენობა	სააქციო პრემიის ოდენობა
<b>31 დეკემბერი, 2009 წ.</b>	<b>11 770 000</b>	<b>58 850</b>	<b>11 593</b>
აქციების ემისია	1 930 000	9 650	7 047
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<b>13 700 000</b>	<b>68 500</b>	<b>18 640</b>
აქციების ემისია	1 100 000	5 500	4 532
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>14 800 000</b>	<b>74 000</b>	<b>23 172</b>

2011 წელს პროპორციის საფუძველზე გამოცხადებულმა და დარიგებულმა დივიდენდებმა 20,000 ათასი ლარი შეადგინა (2010 წელს – 16,500 ათასი), ანუ 1,46 ლარი ერთ აქციაზე (2010 წელს – 1,40 ლარი ერთ აქციაზე).

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

“წმინდა საპროცენტო შემოსავალში” შედის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები და ასევე ფინანსურ ინსტრუმენტებზე პრემიებისა და დისკონტების ღირებულების გაზრდა ამორტიზირებული ღირებულებით.

'000 ლარი

<b>პროცენტი და მსგავსი შემოსავალი</b>	<b>2010</b>	<b>2009</b>
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და ავანსებიდან	108 502	118 912
საპროცენტო შემოსავალი ნაღდი ფულიდან და ეკვივალენტიდან და სხვა ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებებიდან	3 470	2 632
საპროცენტო შემოსავალი გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივებიდან	21	285
<b>საპროცენტო შემოსავალი სულ</b>	<b>121,829</b>	<b>115,008</b>
<b>პროცენტი და მსგავსი ხარჯი</b>		
საპროცენტო ხარჯი კლიენტთა ანგარიშებზე	(26 349)	(29 323)
საპროცენტო ხარჯები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე გაცემული სესხებზე	(10 792)	(13 652)
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ ვალზე	(4 071)	(4 867)
საპროცენტო ხარჯები სხვა ბანკების მიმართ არსებულ ვალდებულებებზე	(19)	(45)
<b>საპროცენტო ხარჯი სულ</b>	<b>(41 231)</b>	<b>(47 887)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>70 762</b>	<b>73 942</b>

## 22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

'000 ლარი		
საკომისიო ანაზღაურება და საკომისიო შემოსავალი	2011	2010
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	5 501	5 074
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	1 557	1 076
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	542	243
აკრედიტივები და გარანტიები	436	415
ინტერნეტ ბანკინგის საკომისიო	180	153
SMS მომსახურების საკომისიო	93	79
სხვა საკომისიო შემოსავალი	1 073	772
<b>საკომისიო შემოსავალი სულ</b>	<b>9 382</b>	<b>7 812</b>
<b>საკომისიო ხარჯები</b>		
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	(2 418)	(1 967)
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	(622)	(529)
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	(487)	(375)
აკრედიტივები და გარანტიები	(97)	(63)
საკომისიო ხარჯი	(132)	(156)
საკომისიო ანაზღაურება და საკომისიო ხარჯი სულ	(3 756)	(3 090)
<b>საკომისიო შემოსავალი სულ</b>	<b>5 626</b>	<b>4 722</b>

მუხლი “სხვა საკომისიო შემოსავალი” შედგება მესამე მხარის, მაგალითად, “ვესტერნ იუნიონის” სახელით შესრულებული ტრანზაქციებისგან. “სხვა საკომისიო ხარჯები” ძირითადად საბარათე ბიზნესთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯებისგან შედგება.

## 23. უცხოური ვალუტით ვაჭრობისა და კონვერტაციიდან მიღებული შემოსავალი დანაკარგების გამოკლებით

სავალუტო ვაჭრობიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი კლიენტებთან და კლიენტებისთვის უცხოურ ვალუტაში შესრულებულ გარიგებების შედეგებს ეხება. ჯგუფი თავისი სახელით არ მონაწილეობს რომელიმე გარიგებაში უცხოური ვალუტაში.

უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალის გამოქვითვა მოგებიდან მოიცავს უცხოური ვალუტის ჰეჯირების ოპერაციების შედეგსა და უცხოური ვალუტის არარეალიზებული გადაფასების შედეგებს. ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას, სსს 39-ის მიხედვით.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**24. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები**

სხვა საოპერაციო შემოსავლის ძირითადი პოზიციები მოიცავს: გარანტიებზე, აკრედიტივებზე, აუთვისებელ საკრედიტო ხაზებსა და სასამართლო საქმეებზე გამოუყენებელი რეზერვის გაუქმებიდან მიღებულ შემოსავალს 374 000 ლარის ოდენობით (2010 წელს – 264 000 ლარი) და ამოღებული ქონებიდან მიღებულ შემოსავალს 215 000 ლარის ოდენობით (2010 წელს – 151 000 ლარი).

სხვა საოპერაციო ხარჯების ძირითადი პოზიციები მოიცავს: ქონების გასხვისების შედეგად მიღებულ ზარალს 232 ათასი ლარის ოდენობით (2010 წელს – 179 ათასი ლარი) და გარანტიებზე, აკრედიტივებსა და აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე რეზერვების შექმნის ხარჯებს 359 000 ლარის ოდენობით (2010 წელს – 205 ათასი ლარი).

**25. სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები**

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

'000 ლარი	2011	2010
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები	32 169	32 535

სახელფასო ხარჯები მოიცავს გამოუყენებელი შვებულებების რეზერვებში მომხდარ წმინდა ცვლილებებს – ასახულია მოგება-ზარალის საკრედიტო ანგარიშზე 320 000 ლარის ოდენობით (2010 წელს – 1039 ლარი მოგება-ზარალის სადებეტო ანგარიშზე).

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგ მუხლებს:

'000 ლარი	შენიშვნები	2011	2010
ქონების, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის ცვეთა/ამორტიზაცია, არამატერიალური აქტივები, მათ შორის იჯარით აღებული ქონების გამართვა	10 11	5 471	5 435
ოფისის ქირა		5 055	5 063
სააონსულოზაიო მომსახურება		3 007	2 441
მარკეტინგი, რეკლამა და გასართობი ღონისძიებები		2 685	2 536
კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები		1 728	1 678
კადრების შერჩევა, მომზადება და პერსონალთან დაკავშირებული სხვა		1 652	1 549
საკანცელარიო საქონელი		1 232	1 055
ტრანსპორტი		1 189	1 060
უსაფრთხოების მომსახურება		740	841
სხვა მომსახურება		673	610
მშენებლობა, რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა		472	501
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		2 882	2 272
<b>სულ</b>		<b>26 786</b>	<b>25 041</b>

თანამშრომლებთან დაკავშირებული და ადმინისტრაციული მთლიანი ხარჯებიდან 2,418 ათასი ლარი თანამშრომლების ტრენინგებს მოხმარდა (2010 წელს – 2,509 ათასი ლარი).

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა

### ჯგუფის მთლიანი რისკის პროფილის მართვა – კაპიტალის მართვა

#### მიზნები

ზოგადად, ჯგუფს უფლება არა აქვს, იმაზე მეტი რისკი იკისროს, ვიდრე შეუძლია. ჯგუფის კაპიტალის მართვა შემდეგ მიზნებს ისახავს:

- იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფი ყოველთვის აღჭურვილი იყოს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალით, რათა უკიდურეს შემთხვევაშიც კი სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგები დაფაროს
- საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული გარე კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან ბანკის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- ჯგუფის სტაბილურ ზრდასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელების ხელშეწყობა და ბიზნეს სტრატეგიის დაცვა.

#### პროცესები და პროცედურები

ჯგუფის კაპიტალის მართვას არეგულირებს კაპიტალის მართვის პოლიტიკა და დასაშვები რისკის პოლიტიკა. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ჯგუფი ოთხ კოეფიციენტს მიმართავს. მარეგულირებელი და ბაზელი II კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, ჯგუფის კაპიტალიზაციის კოეფიციენტსა და დასაშვები რისკების კოეფიციენტს ყოველთვიურ მონიტორინგს ჯგუფის რისკების მართვის განყოფილება და პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტი უწევს.

#### კაპიტალის შიდა და გარე მოთხოვნებთან შესაბამისობა

კაპიტალის მინიმალურ გარე მოთხოვნებს აწესებენ და აკონტროლებენ საქართველოს ადგილობრივი საბანკო საზედამხედველო ორგანოები. კაპიტალის ადეკვატურობა გამოითვლება და ყოველთვიურად ეცნობება ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს. ეს ანგარიშები მოიცავს პროგნოზებსაც, რათა უზრუნველყოს მოთხოვნებთან შესაბამისობა არა მხოლოდ ახლა, არამედ მომავალშიც.

2011 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკი შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის კომიტეტის (ბაზელ I) ინსტრუქციების მიხედვით დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2011	2010
1-ლი რიგის კაპიტალი /რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები (უნდა იყოს 8%-ზე მეტი)	9.37%	9.36%
1-ლი რიგის კაპიტალს + მე-2 რიგის კაპიტალი / რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები (უნდა იყოს 12%-ზე მეტი)	16.22%	17.33%

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

გარდა ამისა, კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი პროკრედიტ ჰოლდინგის მასშტაბით კაპიტალის ადეკვატურობის უნიფიცირებული გამოთვლის გამოყენებით ხორციელდება, ბაზელის კომიტეტის (ბაზელ II) ინსტრუქციების მიხედვით.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის კოეფიციენტები ბაზელ II-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების თანახმად:

<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		
გამოთვლა ბაზელი II-ის მიხედვით		
	<b>2011</b>	<b>2010</b>
1-ლი რიგის კაპიტალი /რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები ("RWA")	16.99%	20.06%
1-ლი რიგის კაპიტალს + 2-ე რიგის კაპიტალი / რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები	25.28%	31.33%
<hr/>		
'000 ლარი	<b>2011</b>	<b>2010</b>
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	74 000	68 500
აქციების პრემია	23 172	18 640
გაუნაწილებელი მოგება *	34 456	34 782
გამოკლებული სხვა არამატერიალური აქტივები	(4 309)	(2 361)
<b>1-ლი რიგის კაპიტალი</b>	<b>127 319</b>	<b>119 561</b>
სუბორდინირებული სესხები	54 285	59 781
სხვა საკუთარი დანაკარგების რეზერვები	7 814	7 452
<b>მე-2 რიგის კაპიტალი</b>	<b>62 099</b>	<b>67 233</b>
<b>მთლიანი სავალდებულო კაპიტალი</b>	<b>189 418</b>	<b>186 794</b>
* გამოკლებული (გამოცხადებული) განაწილებული დივიდენდი.		
'000 ლარი	<b>2011</b>	<b>2010</b>
რისკის მიხედვით შეფასებული საბალანსო აქტივები	611 458	457 734
რისკის მიხედვით შეფასებული გარე საბალანსო აქტივები	13 671	12 618
რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები ღია სავალუტო პოზიციის საფუძველზე	461	1 145
რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები საოპერაციო რისკის თვალსაზრისით	123 837	124 707
<b>რისკის მიხედვით შეფასებული აქტივები სულ</b>	<b>749 427</b>	<b>596 204</b>

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის ჯგუფი იყენებს საკუთარ კაპიტალსა და სს პროკრედიტ ჰოლდინგის მიერ გაცემულ სუბორდინირებულ ვალს.

რაც შეეხება ლევერიჯს, 2011 წელს შემოდებულ იქნა 1 რიგის კაპიტალის და კორექტირებული გარესაბალანსო ვალდებულებების კოეფიციენტის ქვედა ზღვარი (1 რიგის ლევერიჯის კოეფიციენტი), რომლის მიხედვითაც ჯგუფის კაპიტალიზაციის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 5%-ზე ნაკლები 2011 წლის ბოლოს კოეფიციენტი ამ ლიმიტზე მაღალი იყო და 12,8%-ს შეადგენდა.

	2011	2010
კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (%)	12.8	6.3

### დასაშვები რისკების შემცველობა

სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობას რისკების შემცველობის მიხედვით აფასებს, ჯგუფის სპეციფიკური რისკის პროფილის ასახვის მიზნით, მაგალითად, საქმიანობის შედეგად წარმოშობილ პოტენციურ ზარალს ადარებს ჯგუფის დასაშვები რისკების შემცველობასთან.

ჯგუფის რისკის შემცველობის პოტენციალი განისაზღვრება როგორც საკუთარ კაპიტალს (არამატერიალური აქტივების გამოკლებით) მიმატებული სუბორდინირებული ვალი, რამაც 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 194 მილიონი ლარი შეადგინა (2010 წელს – 190 მილიონი ლარი). რისკის დასაფარად ხელმისაწვდომ რესურსად დაწესდა რისკის შემცველობის პოტენციალის 60%, ანუ 116 მილიონი ლარი. რისკის სხვადასხვა კატეგორიაში პოტენციური დანაკარგების გამოსათვლელად გამოყენებული იქნა შემდეგი ცნებები:

- საკრედიტო რისკი (კლიენტები) სასესხო პორტფელის სისტემატურად განახლებული მიგრაციის ანალიზის საფუძველზე გამოითვლება ისტორიული ზარალის მაჩვენებლები და გამოიყენება მიმდინარე სასესხო პორტფელზე პოტენციული დანაკარგების გამოსათვლელად.
- კონტრაგენტის რისკი: კონტრაგენტის რისკის გამო პოტენციური დანაკარგები გამოითვლება კონტრაგენტის, ან მისი სამოქმედი ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის ალბათობის საფუძველზე.
- საბაზრო რისკები: თუ სავალუტო კურსის ისტორიულ რყევაზე სტატისტიკური ანალიზი გაკეთებულია, მაშინ არსებულ სავალუტო პოზიციებზე ყველაზე მკვეთრი რყევა (99% სანდოობის დონით) გამოიყენება, საპროცენტო განაკვეთის რისკი კი გამოითვლება ევრო/აშშ დოლარზე (ორი პროცენტული ერთეული) სტანდარტული დონის საპროცენტო განაკვეთის შოკის, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში ისტორიულად უფრო მაღალი დონის შოკის შედეგის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრით.
- საოპერაციო რისკი: ბაზელ II-ის სტანდარტის მეთოდი გამოიყენება შესაბამისი ღირებულების გამოსათვლელად.

სხვა რისკები შეფასდა ჯგუფისთვის არასაკმარისად რელევანტურად, ან შეფასდა რელევანტურად, მაგრამ მათი რაოდენობრივად გამოხატვა შეუძლებელია, მაგ. ლიკვიდურობის რისკი.

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების განაწილება რისკის სხვადასხვა კატეგორიებზე, პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის თანახმად, და უტილიზაციის დონე ჯგუფისთვის 2011 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით.

რისკის ფაქტორი	რისკის დეტალური აღწერა	ლიმიტი	ლიმიტი	ფაქტობრივი	გამყენებული
		(%-ში)	(ათასი ლარი)	(ათასი ლარი)	ლიმიტის %)
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		25.0%	48 499	21 775	11.2%
კონტრაგენტის რისკი	კომერციული ბანკები	1.0%	1 940	68	0.0%
	ცენტრალური ბანკები	9.0%	17 460	1 773	0.9%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	19 399	7 499	3.9%
	სავალუტო რისკი	2.5%	4 850	76	0.0%
საოპერაციო რისკი		12.5%	24 249	9 907	5.1%
<b>რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები</b>		<b>60.0%</b>	<b>116 397</b>	<b>41 098</b>	<b>21.2%</b>

2010 წლის 31 დეკემბრის ბოლოს:

რისკის ფაქტორი	რისკის დეტალური აღწერა	ლიმიტი	ლიმიტი	ფაქტობრივი	გამყენებული
		(%-ში)	(ათასი ლარი)	(ათასი ლარი)	ლიმიტის %)
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		25.0%	47 502	13 585	7.1%
კონტრაგენტის რისკი	კომერციული ბანკები	1.0%	1 900	168	0.1%
	ცენტრალური ბანკები	9.0%	17 101	935	0.5%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	19 001	17 510	9.2%
	სავალუტო რისკი	2.5%	4 750	386	0.2%
საოპერაციო რისკი		12.5%	23 751	9 977	5.3%
<b>რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები</b>		<b>60.0%</b>	<b>114 005</b>	<b>42 561</b>	<b>22.4%</b>

საოპერაციო რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალი გამოითვლება ბაზელ II-ის სტანდარტული მეთოდით.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ცალკეული რისკების მართვა

2011 წელს შემოღებულ იქნა ახალი მოთხოვნები ჯგუფის მიერ რისკის მართვის კიდევ უფრო გასამკაცრებლად. კერძოდ, შემოღებულ იქნა დამატებითი პროცესები შემდეგი რისკების სამართავად:

- საკრედიტო რისკი
- კონტრაგენტის რისკი
- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საოპერაციო რისკი და
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთასთან დაკავშირებული საქმიანობა

ჯგუფისთვის მეტად მნიშვნელოვანია რისკის გამომწვევი ფაქტორების ცოდნა და უწყვეტი ანალიზი და ჯგუფის შიგნით დისკუსიები მოვლენების შესაძლო განვითარებაზე/შესაძლო სცენარებზე და მათ პოტენციურ უარყოფით შედეგებზე. რისკის მართვის მიზნებში შედის იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა არსებითი რისკი დროულად იქნეს აღმოჩენილი, სრულად გაანალიზებული და სათანადოდ მართული. მაგალითად, ეს გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება არ მოხდეს, სანამ ყველა მხარე არ გაეცნობა მათ და სანამ მათთან გამკლავება შესაძლებელი არ იქნება.

ცალკეული რისკისთვის გათვალისწინებული ლიმიტებიდან გადახვევა, რომელთა ფარგლებშიც ჯგუფს მოქცეული აქვს თავისი რისკების სტრატეგია, დასაშვებია მხოლოდ პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის თანხმობით, მაგრამ უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მკაცრ ლიმიტებს (მაგ. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ლიმიტებს ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს).

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც იმის საშიშროება, რომ საკრედიტო ტრანზაქციის მხარე ვერ შეძლებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს ჯგუფის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა კლიენტებზე კრედიტების გაცემის შედეგად (კლასიკური საკრედიტო რისკი), შიდასაბანკო განთავსებებიდან გამომდინარე კრედიტებიდან და ემინენტთან დაკავშირებული რისკიდან. საკრედიტო რისკი შემდგომ იყოფა საკრედიტო დეფოლტის რისკად და საკრედიტო პორტფელის რისკად, რისკების მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით. საკრედიტო რისკი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი:

'000 ლარი	2011	2010
<b>ბანკთაშორისო განთავსებები</b>	126 186	71 624
ნაშთები სებ-ში. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	34 565	78 358
<b>ბანკთაშორისო განთავსებები</b>	160 751	149 982
<b>სულ</b>		
<b>გასაყიდად სელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	-	5 992
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვექსილები)		
<b>გასაყიდად სელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	-	5 992
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	682 379	594 929
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. შესაძლო გაუარესების რეზერვები	(14 850)	(16 610)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>667 529</b>	<b>578 319</b>
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>2 255</b>	<b>411</b>
<b>გარე საბალანსო უწყისის ვალდებულებები</b>	<b>26 411</b>	<b>25 804</b>

**კლიენტზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკი**

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკს ბანკი განსაზღვრავს, როგორც პოტენციური გადაუხდელობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან წარმოქმნილ ზარალის რისკს.

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკის მართვა საკრედიტო საქმიანობის პრინციპების საფუძვლიან განხორციელებას ემყარება, როგორცაა:

- ჯგუფის მსესხებლების გადახდისუნარიანობის ანალიზი
- საკრედიტო რისკის შეფასებების დოკუმენტირება, რათა ანალიზი გასაგები იყოს მესამე მხარეებისთვის
- ჯგუფის კლიენტების ზედმეტი დავალიანების თავიდან აცილება
- მსესხებლებთან რეგულარული კავშირის შენარჩუნება
- სესხის დაფარვის მონიტორინგი
- ვაგადაცილების მკაცრი მართვა
- გადაუხდელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის საშუალებების ამოღების პროცესის მკაცრად განხორციელება
- ინვესტიციები პერსონალის მომზადებაში
- საგულდაგულოდ შემუშავებული და კარგად დოკუმენტირებული პროცესების განხორციელება
- "ოთხი თვალის პრინციპის" განხორციელება.

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო სესხებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის სესხებისთვის დაკრედიტების განსხვავებული პროცენტები არსებობს. პროცენტები ძირითადად განსხვავდება მოვალეობების განაწილების მიხედვით; კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის, შემოწმებული ფინანსური ანგარიშების თუ დეკლარაციის ფორმების; სესხის გადაწყვეტილების ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე; განსაკუთრებით ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხებისთვის, ლიკვიდური ფულადი სახსრებისა, მსესხებლის კრედიტუნარიანობის და პიროვნული თვისებების, საგირავნო მოთხოვნების მიხედვით.

ნებისმიერ საკრედიტო გადაწყვეტილებას საკრედიტო კომიტეტი იღებს.

ვადაგადაცილებულია სესხები, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო ან/და ძირითადი თანხის გადახდა დაგვიანებულია. ვადაგადაცილების დადგომის შემთხვევაში, ჯგუფი სესხების გადაუხდელობის მკაცრ კონტროლს იწყებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის ნებისმიერი პოტენციური საფრთხის იდენტიფიკაციის მიზნით. სესხების დაბრუნებისა და ამოღების პროცესს სპეციალიზირებული თანამშრომლები აწარმოებენ, რომელთაც, როგორც წესი, გამოცდილება საკრედიტო ან იურიდიულ სფეროში აქვთ.

ბანკი მუდმივ მონიტორინგს უწევს სასესხო პორტფელის ხარისხს. სასესხო პორტფელის ხარისხის საზომია გაუარესებული სესხების პორტფელი ("PAR"), რომელსაც ჯგუფი განმარტავს, როგორც ყველა ისეთ დაუფარავ სესხს, რომლის პროცენტის და/ან კაპიტალის ერთი ან ერთზე მეტი შენატანი 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. ამ მეთოდის შერჩევა განპირობებულია იმით, რომ სესხებზე უმეტესწილად ფიქსირებული შენატანები ხორციელდება ძირითადი თანხის და პროცენტების ყოველთვიური გადახდით. გამონაკლისს სეზონური ხასიათის აგრო სესხები და საინვესტიციო სესხები წარმოადგენს, რომელთა შეღავათიანი პერიოდი, ჩვეულებრივ, 6 თვემდე გრძელდება. გაუარესებული სესხების პორტფელის განსაზღვრისას არ ხდება უზრუნველყოფის გამოქვითვა და საკრედიტო დავალიანების შემცირების სხვა რომელიმე ზომის განხორციელება.

საკრედიტო ოპერაციების ხარისხ დამატებით საკრედიტო კონტროლის განყოფილება უზრუნველყოფს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის საკრედიტო ოპერაციების მონიტორინგზე და ჯგუფის პროცედურებთან მათ შესაბამისობაზე. ეს განყოფილებები, რომლებიც გამოცდილი საკრედიტო თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული, უზრუნველყოფს დაკრედიტების პოლიტიკასა და პროცედურებთან ფორმითა და შინაარსით შესაბამისობას რეგულარული შემოწმებებისა და სისტემის სკრინინგის მეშვეობით.

'000 ლარი	PAR (> 30 დღე, რისკის მიხედვით)	PAR (> 30 დღე, ცალკეული სესხების მიხედვით)
31 დეკემბერი, 2011 წ.	1.28%	1.16%
31 დეკემბერი, 2010 წ.	1.64%	1.49%

სესხების რესტრუქტურისაციის საჭიროება ჩვეულებრივ მსესხებლის ეკონომიკური და გადახდის პრობლემებიდან გამომდინარეობს. სესხის რესტრუქტურისაციის შემთხვევაში სესხის პარამეტრებში ცვლილებები შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხები, რომელთა პირობების ხელახალი შეთანხმება მოხდა, ვადაგადაცილებულად ან გაუარესებულად ჩაითვლებოდა:

ჯგუფი, წარსული გამოცდილების მიხედვით, მოცემული წლის მოსალოდნელი სასესხო დეფოლტის დონის რეგულარულ ანალიზს ახორციელებს. მენეჯმენტის შეფასებით, გაწეული ზარალი სრულად დაფარულია სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვით.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

პროკრედიტ ჰოლდინგის პოლიტიკის მიხედვით, სრული უზრუნველყოფის გარეშე გაცივმა მხოლოდ ძალიან მცირე სესხები და/ან მოკლევადიანი სესხები. 10 000 დოლარზე ზემოთ გაცემული ყველა სესხი ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი გირაოთი. შედარებით მაღალი რისკის პროფილის მქონე სესხები ყოველთვის მყარი გირაოთია უზრუნველყოფილი, ჩვეულებრივ უძრავი ქონებით. რადგანაც სესხების უმეტესობა საკმაოდ მოკლევადიანი სესხებია ფიქსირებული შენატანებით, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ ბევრად უფრო ნელი ტემპით იკლებს, ვიდრე სესხის დაუფარავი თანხა და, აქედან გამომდინარე, 10 000 ლარზე ნაკლები სესხებისთვის ბანკი არ აწარმოებს მონიტორინგს.

დაბრუნებული ქონების მართვის პროკრედიტ ჰოლდინგის პოლიტიკა მოითხოვს, რომ კლიენტების გადაუხდელობის შედეგად მიღებული ყველა აქტივი გაიყიდოს მესამე მხარეებზე, უზრუნველყოფის საშუალების საბაზროზე ნაკლები ღირებულებით შეფასებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, ამოღებული ქონება საჯარო აუქციონზე ყველაზე მაღალ შესაძლო ფასად იყიდება და ძირითადი თანხის, პროცენტის და ჯარიმის შედეგად დარჩენილი ნაშთი კლიენტის ანგარიშზე ირიცხება. ამოღებული ქონება უმეტესწილად მიწა ან შენობაა. თუმცა ზოგჯერ ინვენტარი, ავტომანქანა და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (ტელევიზორები, მაცივარი დას ხვ.) გვხვდება. შემდეგ ცხრილში მოცემულია ამოღებული ქონების ღირებულება:

ათასი ლარი	2011	2010
უძრავი ქონება	3 830	2 183
ინვენტარი	164	163
სხვა	8	1
<b>სულ</b>	<b>4 002</b>	<b>2 347</b>

**საკრედიტო პორტფელის რისკი კლიენტებზე გაცემული სესხების შედეგად**

საკრედიტო პორტფელის კატეგორიები საკრედიტო რისკის შემცირების ძალიან ეფექტური ფაქტორია. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა – ძალიან მცირე და მცირე საწარმოების დაკრედიტებამ მოითხოვა დაკრედიტების პროცესის მაღალი დონის სტანდარტიზაცია და საბოლოოდ კრედიტების მაღალი დივერსიფიკაცია გამოიწვია გეოგრაფიული განაწილებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით. მიუხედავად ამისა, საშუალო სესხების პორტფელი, ანუ შედარებით მსხვილი სესხები, რომელიც აჭარბებს 150 000 დოლარის ზღვარს, არ წარმოადგენს ჯგუფის ძირითად სტრატეგიულ სამიზნეს. ამ კლიენტების უმრავლესობა დინამიურად მზარდი საწარმოებია, რომლებიც ჯგუფთან მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. თუმცა ასეთი ბიზნესების სირთულე მოითხოვს ბიზნესის, დასაფინანსებელი პროექტისა და დაკავშირებული მხარეების ჯეროვან ანალიზს. ფრანტ და ბექ ოფისის ფუნქციები მკაფიოდაა გამოჯნული და დოკუმენტაციისა და უზრუნველყოფის მოთხოვნებიც როგორც წესი, უფრო მკაცრია.

საერთო ჯამში, ჯგუფის საკრედიტო პორტფელი მოიცავს 304 მსესხებელთა ჯგუფს 150 000-მდე დოლარზე მეტი მოცულობით (259 - 2010 წელს).

პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა რეგულარულად განიხილება რისკის მართვის განყოფილების მიერ, საკრედიტო რისკის განყოფილების დახმარებით, კრედიტის მნიშვნელოვან ნაწილზე შესაძლო ზეგავლენის იდენტიფიცირების (ზოგადი რისკის ფაქტორები) და, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებზე სესხის მოცულობის შეზღუდვის მიზნით.

ათასი ლარი 31 დეკემბერი, 2011 წ.	ბიზნესი	აგრო	საბინაო	სამომხმარებლო	სხვა	სულ
< 10,000 USD	79 865	19 676	8 418	9 111	3 169	120 239
10,000 – 30 000 აშშ დოლარი	137 983	11 939	8 057	1 793	2 760	162 532
30 000 – 150 000 აშშ დოლარი	256 146	7 285	5 013	780	876	270 100
< 150 000 USD	128 300	1 208	-	-	-	129 508
<b>სულ</b>	<b>602 294</b>	<b>40 108</b>	<b>21 488</b>	<b>11 684</b>	<b>6 805</b>	<b>682 379</b>

ათასი ლარი 31 დეკემბერი, 2010 წ.	ბიზნესი	აგრო	საბინაო	სამომხმარებლო	სხვა	სულ
< 10,000 USD	67 750	13 561	11 092	8 452	3 120	103 975
10,000 – 30 000 აშშ დოლარი	86 741	4 405	8 209	1 276	5 025	105 656
30 000 – 150 000 აშშ დოლარი	171 473	5 685	5 720	776	3 360	187 014
< 150 000 USD	196 016	1 348	829	91	-	198 284
<b>სულ</b>	<b>521 980</b>	<b>24 999</b>	<b>25 850</b>	<b>10 595</b>	<b>11 505</b>	<b>594 929</b>

ჯგუფი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, რომელიც ზღუდავს კონცენტრაციის რისკს სასესხო პორტფელში და ამისათვის მოითხოვს მსხვილი სესხების (რომლებიც მარეგულირებელი კაპიტალის 5%-ს აღემატება) დამტკიცებას პროკრედიტ ჰოლდინგის საკრედიტო რისკების კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. არც ერთი მსხვილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის მინიმალური კაპიტალის 15%-ს.

შედარებით მსხვილი სესხების ანალიზსა და მონიტორინგს პასუხისმგებელი თანამშრომლები უზრუნველყოფენ საკრედიტო განყოფილებიდან, საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის გზით, რაც რისკების დროული აღმოჩენის შესაძლებლობას ქმნის, ასევე საკრედიტო კომიტეტი რეგულარული შემოწმებების ჩატარებით. ინფორმაციის მოძიება რომელიმე დაკავშირებულ მხარეზე ჩვეულებრივ სესხის გაცემამდე ხდება.

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების მონიტორინგს ბანკის საკრედიტო ექსპერტი/საკრედიტო ანალიტიკოსი და შესაბამისი საკრედიტო კომიტეტი უზრუნველყოფს. ასეთი კრედიტებისთვის, კომიტეტი აფასებს არსებობს თუ არა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი.

- 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
- პროცენტის, ან კაპიტალის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა
- დებულებების, ან პირობების დარღვევა
- გაკოტრების საქმის აღძვრა
- კლიენტის საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის არსებობა (მაგ. კლიენტის ნაღდი ფულის დეფიციტი)
- კლიენტის საბაზრო კონიუნქტურის ცვლილება
- ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა

ამას გარდა, გაუარესების რეზერვის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უზრუნველყოფის საშუალების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ცალკეულ გაუარესებულ სესხებზე უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება:

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	უძრავი ქონება	სასაქონლო მატერიალური მარაგები	სხვა	სულ
ბიზნესი	23 264	199	-	23 463
აგრო	151	-	-	151
სამომხმარებლო	1	-	-	1
საბინაო	-	-	-	-
სხვა	134	-	-	134
<b>სულ</b>	<b>23 550</b>	<b>199</b>	<b>-</b>	<b>23 749</b>

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	უძრავი ქონება	სასაქონლო მატერიალური მარაგები	სხვა	სულ
ბიზნესი	19 554	7	4 683	24 244
საბინაო	151	-	-	151
სამომხმარებლო	54	-	-	54
სხვა	-	-	-	-
<b>სულ</b>	<b>19 759</b>	<b>7</b>	<b>4 683</b>	<b>24 449</b>

საცხოვრებელი უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება ანგარიშგების პერიოდის დასასრულისთვის შეფასდა ჯგუფის შიდა საკრედიტო განყოფილების თანამშრომლების მიერ განსაზღვრული ღირებულებების გამოყენებით, რომელიც სესხის დასაწყისში განისაზღვრა ქალაქებისა თუ რეგიონების მიხედვით საცხოვრებელი უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულების საშუალო ზრდის გათვალისწინებით. სხვა უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საკრედიტო რისკების განყოფილების მიერ ბანკის შიდა ინსტრუქციების შესაბამისად.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები, რომლებისთვისაც გაუარესების ინდივიდუალური რეზერვის შექმნა არაა საჭირო, კოლექტიური შეფასების რეზერვებით იფარება.

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხებისთვის, რომელთა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება არსებობს, ანუ რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაშია ვადაგადაცილებული (ასევე უმნიშვნელო რესტრუქტურირებული სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ არის, მაგრამ გაუარესებულადაა კლასიფიცირებული); გაურესება განისაზღვრება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მიჩნეული ინდივიდუალური სესხები, ან ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების ჯგუფი შესაძლოა გაუარესებულად კლასიფიცირდეს, თუ ქვეყანაში ისეთი შემთხვევები შეინიშნება, როგორცაა პოლიტიკური არეულობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დადმავლა, სტიქიური უბედურებები ან სხვა გარე ფაქტორები.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში შესაბამისი გაუარესების რეზერვის გაანგარიშების მიზნით დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი გამოიყენება.

### შიდა საბანკო განთავსებებიდან და ემინენტთან დაკავშირებული რისკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი

#### *რისკების მართვის კოცეპტუალური საფუძველი*

კონტრაგენტის და ემინენტის რისკის მართვის მიზანია ჯგუფისთვის ისეთი დანაკარგების თავიდან აცილება, რომლებსაც იწვევს ფინანსური კონტრაგენტის (მაგ. კომერციული ბანკის), ან ემინენტის მიერ ჯგუფის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების არ ან ვერ შესრულება. ამ ტიპის რისკი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ძირითადი რისკი – გაცემული თანხის დაკარგვის რისკი იმის გამო, რომ კონტრაგენტი ვერ ახერხებს ძირითადი თანხის დროულად და სრულად გადახდას
- ჩანაცვლების რისკი – იმ ოდენობის თანხის დაკარგვის რისკი, რომელიც უდრის დაუფარავი ვალდებულების ბაზარზე მისი ეკვივალენტით ჩანაცვლების ხარჯს
- ანგარისწორების რისკი – დანაკარგის რისკი, რომელიც გამოწვეულია დაკავშირებული მხარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით
- ემინენტთან დაკავშირებული რისკი - ფასიანი ქაღალდების ემინენტის დეფოლტითა და გადახდისუუნარობით გამოწვეული ზარალის ალბათობა.

კონტრაგენტის და ემინენტის რისკს განსაკუთრებით განაპირობებს ჯგუფის საჭიროება, რომ დააბანდოს ჭარბი ლიკვიდურობა, შეასრულოს სავალუტო ოპერაციები, ან მოახდინოს გარკვეული რისკების პოზიციების ჰეჯირება. ჭარბი ლიკვიდურობის განთავსება ხდება ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან, ჩვეულებრივ სამ თვემდე ვადის მქონე ინსტრუმენტებში. სავალუტო ოპერაციებიც მოკლე ვადებში, ჩვეულებრივ ორ დღეში სრულდება. ვადიან კონტრაქტებს, რომლებიც სავალუტო რისკისგან ჯგუფის დასაცავად გამოიყენება, შეძლება ერთ წლამდე ვადა ჰქონდეს. გარდა ამისა, ჯგუფის მცდელობების შედეგად, რომ თავისი საკრედიტო საქმიანობა დაეფინანსებინა ფიზიკური პირების ანაზრებით, არსებობს ასევე რისკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ. ეს იმიტომ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკებისგან მოითხოვს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშზე სავალდებულო რეზერვი ჰქონდეთ, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კლიენტების ანაზრების მოცულობაზე, ან სხვა სახსრებზე, რომლებსაც ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იყენებს.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

კონტრაგენტის და ემინენტის რისკები იმართება ჯგუფის კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკით (რომელშიც ემინენტის რისკიც შედის), რომელიც აღწერს კონტრაგენტის/ემინენტის შერჩევისა და ლიმიტის განსაზღვრის პროცესს, ასევე ჯგუფის ხაზინის პოლიტიკის მიერ, რომელიც აკონკრეტებს დასაშვებ ოპერაციებს და მოიცავს მათი დამუშავების წესებს. ძირითადად მისაღები კონტრაგენტები არიან მხოლოდ სისტემური მნიშვნელობის მქონე დიდი საერთაშორისო ბანკები, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში საქმიანობისთვის – კარგი რეპუტაციის და ფინანსური მდგომარეობის მქონე ადგილობრივი ბანკები. როგორც წესი, ჯგუფი მინიმალური კაპიტალის 10-მდე ზღვარს აწესებს ბანკებისთვის, რომლებიც არა OECD ქვეყნებში საქმიანობენ და 25%-მდე ზღვარს - OECD ქვეყნებში მოქმედი ბანკებისთვის. უფრო მაღალი ლიმიტები უნდა დამტკიცდეს პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ბანკის ALCO უზრუნველყოფს თითოეული კონტრაგენტის საგულდაგულო ანალიზს, რასაც ჩვეულებრივ ატარებს რისკების მართვის განყოფილება სახაზინო განყოფილებასთან თანამშრომლობით. თუ კონტრაგენტი დამტკიცდა, მაქსიმალური კრედიტის ლიმიტი დადგინდება.

კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის თანახმად ჯგუფმა არ უნდა შეასარულოს სპეკულაციური კომერციული საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ჭარბი ლიკვიდურობის დაბანდების მიზნით ჯგუფს უფლება აქვს იყიდოს და დროებით ფლობდეს ფასიან ქაღალდებს (სახაზინო ვექსილები, სადეპოზიტო სერტიფიკატები). ამასთან დაკავშირებული ემიტენტის რისკი იმართება ჯგუფის სახაზინო პოლიტიკის დებულებებით. სხვა მოთხოვნებთან ერთად, ეს პოლიტიკა ითვალისწინებს იმას, რომ ფასიანი ქაღალდები სასურველია გამოშვებული იყოს საქართველოს მთავრობის ან ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში – საერთაშორისო და/ან მულტინაციონალური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც მაღიან მაღალი საკრედიტო რეიტინგი აქვთ (საერთაშორისო AA- ან კიდევ უფრო მაღალი რეიტინგი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კონტრაგენტების და ემინენტების ტიპები, რომლებთანაც ჯგუფი ოპერაციებს ახორციელებს.

'000 ლარი	31.12.2011	%-ში	31.12.2010	%-ში
<b>საბანკო ჯგუფები</b>	<b>34 565</b>	<b>20%</b>	<b>78 358</b>	<b>45%</b>
ბანკები OECD ქვეყნებში	19 014	11%	69 580	40%
ბანკები არა OECD ქვეყნებში	15 551	9%	8 778	5%
ეროვნული ბანკი	139 133	80%	89 886	52%
სავალდებულო რეზერვი	59 857	34%	26 396	15%
სხვა რისკები	79 276	46%	63 490	37%
მთავრობები	-	-	5 992	3.0%
<b>კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი სულ</b>	<b>173 698</b>	<b>100%</b>	<b>174 236</b>	<b>100%</b>

ბანკთაშორისი განთავსებები და სავალუტო ოპერაციები არის ოპერაციები ბანკებთან, რომლებიც დაყოფილი არიან OECD ქვეყნებში და არა OECD ქვეყნებში მდებარე ბანკების ქვეჯგუფებად. ბანკების მიმართ მთლიანი საკრედიტო რისკის მაჩვენებელმა 2011 წელს 43.8 მილიონი ლარით იკლო და კონტრაგენტის და ემინენტის მთლიანი რისკის 20% (2010 წელს – 45%) შეადგინა. საკრედიტო რისკი გადანაწილებულია OECD –ის ქვეყნების ხუთ და არა OECD –ის ქვეყნების ოთხ საბანკო ჯგუფზე.



პროკრედიტ ბანკი ჯგუფი

შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის – 31 დეკემბერი, 2011 წ.

**26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ რისკი ძირითადად გულისხმობს სავალდებულო რეზერვის მოთხოვნას, რომელიც ჯგუფის კონტრაგენტის და ემინენტის რისკის 34%-ს შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ყველაზე დიდი რისკი უკავშირდება ნაღდი ფულის ანგარიშებს და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებს. საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ არსებული რისკები ვალუტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

'000 ლარი

<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>ლარი</b>	<b>ევრო</b>	<b>დოლარი</b>	<b>სხვა</b>	<b>სულ</b>
ეროვნული ბანკი	79 175	11 046	48 911	1	139 133
სავალდებულო რეზერვი	-	10 965	48 892	-	59 857
ნაშთები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვებისა	66 228	81	19	1	66 329
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	12 947	-	-	-	12 947
<b>მთავრობა</b>	-	-	-	-	-
	<b>79 175</b>	<b>11 046</b>	<b>48 911</b>	<b>1</b>	<b>139 133</b>

ათასი ლარი

31 დეკემბერი, 2010 წ.	ლარი	ევრო	დოლარი	სხვა	სულ
<b>ეროვნული ბანკი</b>	<b>62 335</b>	<b>4 666</b>	<b>22 884</b>	<b>1</b>	<b>89 886</b>
სავალდებულო რეზერვი	-	3 670	22 726	-	26 396
ნაშთები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვის გარდა	44 073	996	158	1	45 228
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	18 262	-	-	-	18 262
<b>მთავრობა</b>	<b>5 992</b>	-	-	-	<b>5 992</b>
	<b>68 327</b>	<b>4 666</b>	<b>22 884</b>	<b>1</b>	<b>95 878</b>

**ლიკვიდურობის რისკი**

ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა ჯგუფის კონკრეტულ მახასიათებლებს შეესაბამება. ერთის მხრივ, ჯგუფი დაარსებულია როგორც საკრედიტო ინსტიტუტი და ფინანსური შუამავალი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ბანკის საკრედიტო პორტფელი ყველაზე მსხვილი კომპონენტია აქტივის მხარეზე, რომელიც ძირითადად ადგილობრივად მობილიზებული სახსრებით ფინანსდება. მეორეს მხრივ, სასესხო პორტფელი შეიცავს მცირე ბიზნესებზე დიდი რაოდენობით გაცემულ კრედიტებს და ამის გამო ძალიან დივერსიფიცირებულია. სესხების უმრავლესობა არის გრაფიკიანი ვადიანი სესხები და დეფოლტის განაკვეთი დაბალია. ამის გამო ნაღდი ფულის ნაკადები საკმაოდ პროგნოზირებადია. რადგანაც დეპოზიტები ჯგუფის საკრედიტო პორტფელის ზრდის დაფინანსების ძირითადი წყაროა, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე დამოკიდებულება დაბალია. ყველა ეს ფაქტორი ამართლებს შედარებით მარტივი და სწორხაზოვანი LRM სისტემის გამოყენებას.

ლიკვიდურობის რისკი ვიწრო მნიშვნელობით (გადახდისუნარიობის რისკი) ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ვეღარ შეძლებს მიმდინარე და სამომავლო გადახდის ვალდებულების სრულად ან დროულად შესრულებას. ფართო მნიშვნელობით კი (დაფინანსების რისკი) გულისხმობს საფრთხეს, რომ ვერ მოხდება დამატებითი დაფინანსების მოპოვება, ან მხოლოდ გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით მოხდება დაფინანსება.

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ALCO განსაზღვრავს ჯგუფის ლიკვიდურობის სტრატეგიას და ადგენს ლიკვიდურობის რისკის ლიმიტებს. სახაზინო განყოფილება ყოველდღიურად მართავს ჯგუფის ლიკვიდურობას და ევალება ALCO-ს გადაწყვეტილებების შესრულება. სტრატეგიებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან შესაბამისობას მუდმივად აკონტროლებს რისკების მართვის განყოფილება.

ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გარდა, ამ სფეროში ჯგუფი იყენებს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკისა და სახაზინო პოლიტიკის სტანდარტებს. ორივე პოლიტიკა ჯგუფმა თავდაპირველად 2009 წელს დანერგა. აღნიშნული პოლიტიკა ყოველწლიურად განახლდება და შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილ ჯანსაღი ლიკვიდურობის რისკის მართვის პრინციპებს საბანკო ზედამხედველობის სფეროში. ლიმიტიდან გადახვევა და პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სახაზინო განყოფილება ლიკვიდურობის რისკს ყოველდღიურად მართავს ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რომლის საშუალებითაც სამომავლო ლიკვიდურობის მდგომარეობის მაქსიმალურად ზუსტი სურათი იქმნება. იგი მოიცავს დაშვებებს ანაბრებისა და სესხების განვითარების შესახებ და ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლების უკეთ პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

ლიკვიდურობის რისკების შეფასების ძირითადი მეთოდები მოიცავს პროგნოზული ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს, რომელიც ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადების სტრუქტურას ასახავს და მომავალში დაფინანსების საჭიროებას გარკვეული დაშვებების საფუძველზე აფასებს. დაშვებები იწყება სამომავლო ლიკვიდურობის შეფასებით ნორმალურ ფინანსურ გარემოში და თანდათან უფრო მკაცრდება, რათა მოხდეს ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობის გაანალიზება ყველაზე უარესი სცენარის განვითარების შემთხვევაში (სტრეს-ტესტი). ვადებს შორის განსხვავებების ანალიზზე დაყრდნობით, ლიკვიდურობის რისკის ძირითადი მაჩვენებლები და წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები გამოითვლება მინიმუმ ყოველთვიურად და ექვემდებარება საფუძვლიან მონიტორინგს. მოკლევადიანი ლიკვიდურობის მთავარი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის საკმარისი ლიკვიდურობის ინდიკატორი (SLI), რომელიც ადარებს მომდევნო 30 დღის აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობას. ეს მაჩვენებელი 1-ზე მეტი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფს საკმარისი სახსრები აქვს, რომ მომდევნო 30 დღეში მოსალოდნელი ვალდებულებები გაისტუმროს.

ამას ემატება წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები, განსაკუთრებით მაღალლიკვიდური აქტივების ინდიკატორი, რომელიც თანაფარდობაში მოჰყავს მაღალლიკვიდურ აქტივებს კლიენტთა დეპოზიტებთან.

ჯგუფი ასევე ანალიზებს თავის ლიკვიდურობის მდგომარეობას უფრო სტრუქტურული თვალთახედვითაც, და ითვალისწინებს უფრო გვიანდელი ვადების ლიკვიდურობის დეფიციტს და პოტენციური ლიკვიდურობის დამატებით წყაროებს. ამის შესაბამისი ძირითადი მაჩვენებელი არის ლიკვიდურობის პოზიცია. ეს ანალიზი ასევე ითვალისწინებს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძლება აითვისოს ოდნავ გვიან, და სხვა აქტივებს, რომელთა ნაღდი ფულად ქცევასაც გარკვეული დრო სჭირდება.

ამ წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორების საგულდაგულო მონიტორინგის გარდა, ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ასევე ანგარიშგების მაჩვენებლებს განსაზღვრავს. თუ მაღალლიკვიდური აქტივების მაჩვენებელი 20%-ზე ქვემოთ დაეცემა, თუ მოკლევადიანი ლიკვიდურობის პოზიცია ნეგატიური გახდება, ან თუ მენაბრების კონცენტრაცია 20%-ზე ზემოთ გაიზრდება, სათანადო ზომების მიღებაზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პროკრედიტ ბანკის და პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO-თან, ან პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტთან შეთანხმებით.

## 26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის ლიკვიდურობის დასაცავად სტრესულ სიტუაციებშიც კი, ლიკვიდურობის პოტენციური საჭიროების სხვადასხვა სცენარი დგინდება. შედეგების ანალიზი ხდება და ამის საფუძველზე ჯგუფის ლიკვიდურობის რეზერვის ოდენობა განისაზღვრება ALCO-ს მიერ. ამ სტრეს-ტესტების შედეგები გამოიყენება სარეზერვო ლიკვიდურობის დონის დასადგენად, რომლითაც პროკრედიტ ჰოლდინგმა ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს.

